ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 24 დეკემბერი 2005 №296 (2619) ფასი 50 თეთრი




**ჩოლარიამ საათი გააჩერა**

ექსცენტრიკული ეკონომისტის ქერისცვალებამ გააკვირვა

4



**ბენიტო ფლორო: ქართველების დანუნებული რეალში დაინიშნა**

6



**დიდი ბორჯომობა თბილისში**

13

# TOPPMÖLLER ÜBER ALLES

## გერმანელის ხელმოწერამდე დარჩა... ხელმოწერა



გადაწყვეტილია ამბავია: კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრების გაწვრთნაზე სიტყვიერი თანხმობა უკვე განაცხადა. სანამ კონტრაქტს ორივე მხარის ხელმოწერა არ დაამშვენებს, რა თქმა უნდა, გერმანელ სპეციალისტს ჩვენად მაინც ვერ დავიგულებთ, მაგრამ ბოლო ინფორმაცია ამგვარია — 26 დეკემბერს კლაუს ტოპმიოლერი მეუღლესთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება დასასვენებლად, ნაახალწლევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ურთიერთობას ოფიციალურ სახეს მისცემს და ჩვენს ეროვნულ ნაკრებს მალტაშიც ჩაუძღვება.

გუშინ გერმანულმა მედიამ უკვე „გამოიტირა" ტოპმიოლერი, რომელმაც გერმანული კლუბების ნაცვლად არჩევანი საქართველოს სასარგებლოდ გააკეთა და თქვა, საქართველოს ნაკრებში მუშაობის დაწყებამდე ფორმალობების მოგვარებაღა დამრჩაო.

ერთი სიტყვით, მარცხიანობით გულგაწვრილებულ ქართველ ქომაგს ახალი იმედი გაუჩნდა: საფეხბურთო საქართველო სასწაულს გერმანელი სანტა კლაუსისგან ელის.

# ფიფამ ნაკრებებს წლები მოაკლო

ფიფა ეროვნული ნაკრებების რეიტინგის დათვლის სისტემას შეცვლის — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ფიფას აღმასკომმა, რომელიც გერმანიის ქალაქ ლაიპციგში შეიკრიბა და სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც იმსჯელა.

ფიფას ახალი გადაწყვეტილება კი ძალაში მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე შევა და მასში მთავარი სიახლე ისაა, რომ ეროვნულ ნაკრებებს რეიტინგი დაეთვლებათ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

შეგახსენებთ, აქამდე რეიტინგში ბოლო რვა წლის შედეგები ჯამდებოდა.

აქვე გეტყვით, რომ ბოლო ოთხ წელიწადში საქართველომ 32 მატჩი ჩაატარა — 7 მოგება, 6 ფრე, 19 წაგება.

საინტერესოა, ამ შედეგების გათვალისწინებით რომელ ადგილზე იქნება საქართველო ახლებურ რეიტინგში?..

**ბაჩა შალამბერიძე**

### საქართველოს ნაკრები 2002-05 წლებში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27/03/02 | შ | ამ | ს. აფრიკა | 4:1 |
| 17/04/02 | ს | ამ | უკრაინა | 1:2 |
| 21/08/02 | ს | ამ | თურქეთი | 0:3 |
| 08/09/02 | ს | ეჩ | შვეიცარია | 1:4 |
| 12/02/03 | შ | ამ | მოლდოვა | 2:2 |
| 29/03/03 | შ | ეჩ | ირლანდია | 1:2 |
| 02/04/03 | შ | ეჩ | შვეიცარია | 0:0 |
| 30/04/03 | შ | ეჩ | რუსეთი | 1:0 |
| 11/06/03 | ს | ეჩ | ირლანდია | 0:2 |
| 06/09/03 | შ | ეჩ | ალბანეთი | 3:0 |
| 10/09/03 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:3 |
| 11/10/03 | ს | ეჩ | რუსეთი | 1:3 |
| 18/02/04 | ნ | სტ | რუმინეთი | 0:3 |
| 19/02/04 | ნ | სტ | კვიპროსი | 1:3 |
| 20/02/04 | ნ | სტ | სომხეთი | 0:2 |
| 27/05/04 | შ | ამ | ისრაელი | 0:1 |
| 18/08/04 | ს | ამ | მოლდოვა | 0:1 |
| 04/09/04 | ს | მჩ | თურქეთი | 1:1 |
| 08/09/04 | შ | მჩ | ალბანეთი | 2:0 |
| 13/10/04 | ს | მჩ | უკრაინა | 0:2 |
| 17/11/04 | შ | მჩ | დანია | 2:2 |
| 09/02/05 | შ | ამ | ლიტვა | 1:0 |
| 26/03/05 | შ | მჩ | საბერძნეთი | 1:3 |
| 30/03/05 | შ | მჩ | თურქეთი | 2:5 |
| 04/06/05 | ს | მჩ | ალბანეთი | 2:3 |
| 19/08/05 | ს | მჩ | ყაზახეთი | 2:1 |
| 03/09/05 | შ | მჩ | უკრაინა | 1:1 |
| 07/09/05 | ს | მჩ | დანია | 1:6 |
| 08/10/05 | შ | მჩ | ყაზახეთი | 0:0 |
| 12/10/05 | ს | მჩ | საბერძნეთი | 0:1 |
| 12/11/05 | ს | ამ | ბულგარეთი | 2:6 |
| 16/11/05 | შ | ამ | იორდანია | 3:2 |

### ჰოლანდია

II დივიზიონი. XXIV ტური

ექსელსიორი 2:2 ოსი
დენ ბოსხი 2:1 ზვოლე
დორდრეხტი 0:2 გრააფსხაპი
სიტარდი 1:3 კამბური
იგლსი 1:4 ალმერე
ტელსტარი 2:1 ჰელმონდი
ვეენდამი 3:3 მაასტრიხტი
ვენლო 2:0 ემენი

### ინგლისი

I ლიგა. XXIII ტური

იოვილი 1:1 ბორნმუთი





# ქართველების ფასი

## სევიდოვმა ჯამარაული ინატრა

ვლადიკავკაზის „ალანიას" 29 წლის ქართველი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე დონეცკის „მეტალურგში" ალბათ მალე გადავა. „დემე" წინააღმდეგი არაა, დაბრუნდეს იმ გუნდში, სადაც სულ რაღაც ერთი წლის წინ ლიდერი და საუკეთესო ბომბარდირი იყო. ახლა კლუბებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თუმცა შეთანხმება ჯერჯერობით ვერ ხერხდება — მთავარი საკითხი დემეტრაძის სატრანსფერო ფასია.

რუსი ჟურნალისტების ცნობით, თუ „ალანიამ" თავი გაიგიჟა და ჩვენებურს დიდი ფასი დაადო, გამორიცხული არ არის, გიორგი ვლადიკავკაზში დარჩეს.

შეგახსენებთ, რომ დემეტრაძის გარდა „მეტალურგი" კიდევ ერთ ქართველს, მიხეილ აშვეთიას ეპატიჟება — ამ შემთხვევაშიც დონეცკელებს ფეხბურთელთან პრობლემა არა აქვთ, ოღონდ მიხოს გუნდი, მოსკოვის „ლოკომოტივი" უნდა დაიყაბულონ ტრანსფერზე.

ამასობაში დონბასელთა თავკაცმა ალექსანდრ სევიდოვმა გუნდის მოსამზადებელი გეგმა გამოამზეურა და ჩვენთვის საინტერესო თემასაც შეეხო: „სამწუხაროა, მაგრამ გოჩა ჯამარაულის შემცვლელი დღემდე ვერ ვიპოვეთ. გოჩა გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო და, როცა ის წავიდა, ძალიან გაგვიჭირდა. გამთამაშებლის პრობლემა „მეტალურგს" დღემდე აწუხებს და უბრალოდ, ვაღიაროთ — სხვათა გარდა ახალი ჯამარაულიც გვჭირდება".

**ბაჩა შალამბერიძე**

# გოგუა სპარტაკს ტერეკთან დაენახვება



საქართველოს ნაკრებისა და რუსული „ხიმკის" ნახევარმცველ გოგიტა გოგუას რომ ნალჩიკის „სპარტაკი" ეპატიჟება, რამდენიმე დღის წინ გამცნეთ. გუშინ კი შევიტყვეთ, რომ გოგუა უკვე შეუერთდა ახალ გუნდს და კისლოვოდსკურ შეკრებაზეც გაჰყვა.

25 დეკემბერს კი ნალჩიკელები ამხანაგურ მატჩს გამართავენ გროზნოს „ტერეკთან" და გოგუაც პირველად ალბათ მაშინ მოირგებს „სპარტაკის" მაისურას.

ჩვენებურს რუსული პრემიერლიგის დებიუტანტთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, თუმც რუსი ჟურნალისტების ცნობით, ეს ალბათ არცთუ შორეული მომავლის საქმეა.

**ბაჩა შალამბერიძე**

### ზენდელას თასი 2005

სპორტის სასახლე. 23-28 დეკემბერი. I ტური

A ჯგუფი
ნაციონალები 2:1 ნაძალადევი
სოხუმი 2:1 სიონი
B ჯგუფი
სეუ 3:2 საბურთალო
იამაჰა 4:1 ირაო
C ჯგუფი
სეუ 2 4:4 ჩიხურა
დინამო (ახალგაზრდები) 0:3 სპონტო-აკადემია

# გიორგი ჭელიძე: სკამზე ჯდომით ვერ გავიზრდები

## დინამოში უბრალოდ დინამოელობა არ მინდა

თბილისის „დინამო" სამი დღის წინ შეიკრიბა, თუმცა გუნდში არ გამოცხადებულა გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე. „დინამო" ამ საკითხის სერიოზულად განხილვას აპირებს და ფეხბურთელის დასჯითაც დაიმუქრა, ამასობაში კი ჭელიძეს კლუბის შეცვლა გადაუწყვეტია და სადღეისოდ ფორმის შესანარჩუნებლად 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს...

— „დინამოსთან" კიდევ ერთი წლით მაქვს კონტრაქტი, მაგრამ წასვლა მინდა. არავითარი კონფლიქტი და მსგავსი რამ, უბრალოდ, თამაში მსურს და მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ მხიბლავს.

— „დინამოს" მწვრთნელი კახა ცხადაძე რას გეუბნება, სათამაშო ფორმას გიწუნებს?

— არც ისე ცუდ ფორმაში ვარ, რომ ასე იშვიათად ვთამაშობდე. უბრალოდ, ცხადაძე არ მენდობა. ვატყობ, რომ გუნდში ჩემს ადგილს ვერ ხედავს. ფეხბურთელი იმისაა, რომ თამაში სწყუროდეს, მე კი „დინამოში" ათი-ოცი წუთითაც იშვიათად თუ გამოვდიოდი შეცვლებზე.

— გასაგებია, რომ გუნდიდან წასვლა გინდა, მაგრამ „დინამოს" ხელმძღვანელობასთან არ გილაპარაკია?

— ჯერ არა, ხვალ ვისაუბრებთ და არა მგონია, დამაბრკოლონ. ამის მიზეზს ვერ ვხედავ — სკამზე ჯდომისთვის თუ უნდათ მოთამაშე, არ ვიცი. წარმოიდგინეთ, „დინამოს" ამდენი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული და მაინც არ მენდობიან, ისინი რომ გამოჯანმრთელდებიან, მერე ხომ უფრო უარესად წავა ჩემი საქმე?!

— როგორც ვიცით, „ზესტაფონს" სურს შენი გადაყვანა და ალბათ შენც არ იქნები წინააღმდეგი...

— წინააღმდეგი ნაღდად არ ვიქნები. „ზესტაფონში" გადასვლის ვარიანტი მაქვს, მაგრამ უეჭველად გადავდივარ-მეთქი, ჯერ ვერ ვიტყვი. „დინამოს" ჩემი დასაწუნი რა აქვს, ქვეყნის პირველი გუნდია და იშვიათია ფეხბურთელი, იქ თამაში არ უნდოდეს. მე კი მარტო იმიტომ ვერ გავჩერდები „დინამოში", რომ „დინამო" ჰქვია. ჩემს ასაკში ფეხბურთელი სკამზე ჯდომით ვერ გაიზრდება.

**ილია ნანობაშვილი**



გიორგი ჭელიძეს (№16) „ზესტაფონი" ეპატიჟება

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
ჩვენს ყოფილ თანამშრომელს
დათო ნადირაშვილს
**მამის**
გარდაცვალების გამო

# ალექსანდრე იაშვილი — პირველი მეპასე მეორე ბუნდესლიგაში



## ჩვენთან ტოპმიოლერმანიაა, გერმანიაში პოდოლსკომანია

*საფეხბურთო გერმანიაში ახლა არდადეგებია და მეორე ბუნდესლიგის „ფრაიბურგის“ შემტევი, ალექსანდრე იაშვილიც შვებულებას თბილისში ატარებს.*

*იაშვილს გუშინ შევხვდით, ვესაუბრეთ მის ამბებზე, გერმანიაზე და კიდევ რამდენიმე საკითხზე...*

— მეორე ბუნდესლიგის პირველი წრე „ფრაიბურგმა“ მეექვსე ადგილზე ჩაამთავრა, შენ კი ერთი გოლით — ასეთ შედეგს როგორ შეაფასებდი?

—რა თქმა უნდა, თავდამსხმელისთვის ერთი გოლი ძალიან ცოტაა, მაგრამ სხვა რამეში პირველ ადგილზე ვარ — მეორე ბუნდესლიგაში ყველაზე მეტი, შვიდი საგოლე პასი მივითვალე. მე მწვრთნელისგანაც უფრო საგოლე გადაცემების შესრულება მევალებოდა, უკან ვიხევდი და შეტევას ვიწყებდი. „ფრაიბურგის“ მწვრთნელი ფოლკერ ფინკე ჩემი თამაშით კმაყოფილი დარჩა. მართლაც, წინა სეზონთან შედარებით, ეს პირველი წრე კარგად ვითამაშე, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლი რომ შევაგდე, ამით უკმაყოფილო ვარ.

— წინა სეზონში „ფრაიბურგი“ პირველი ბუნდესლიგიდან გავარდა, მაგრამ პირველი ბუნდესლიგისვე „ნიურნბერგი“ გიწვევდა — უფრო ახალგაზრდა რომ ყოფილიყავი, ალბათ, „ნიურნბერგში“ გადასვლას ამჯობინებდი...

— იმ მომენტში გადაწყვეტილების მიღება ასაკზე არ იყო დამოკიდებული. როცა ფეხბურთელი რაიმე ნაბიჯს დგამს, ბევრი რამ უნდა დაემთხვეს ერთმანეთს — ისეთი კონტრაქტი უნდა გქონდეს, რომ ცხოვრებაში უზრუნველყოფილი იყო, თანაც „ნიურნბერგი“ ისეთი გუნდია, უფრო არგავარდნისთვის რომ იბრძვის და არა მაღალი მიზნებისთვის. გადაწყვეტილების მიღებისას დიდი როლი შეასრულა ჩემი „ფრაიბურგის“ კაპიტნად არჩევამაც — როცა კაპიტანი ხარ, უფრო მეტი პასუხისმგებლობა გაკისრია.

— სანამ ალექსანდრ გლები „შტუტგარტიდან“ ლონდონის „არსენალში“ გადავიდოდა, ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელად მას მიიჩნევდი — ახლა ვის თვლი ასეთად?

— ვან დერ ვაარტმა პირველი წრე სასწაულად ითამაშა. ბუნდესლიგის დაწყებამდე ვერავინ იტყოდა, „ჰამბურგი“ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „ბაიერნს“ კონკურენციას გაუწევსო, მაგრამ ასე რომ მოხდა, ვან დერ ვაარტის დიდი დამსახურებაა. საუკეთესო ფეხბურთს კი ბუნდესლიგაში „ვერდერი“ თამაშობს, ის შეტევაში ყველაზე ძლიერი გუნდია გერმანიაში.

— გერმანიაში, ალბათ, არცთუ ბევრს სჯერა, რომ მათი ნაკრები გაისად მსოფლიოს ჩემპიონი გახდება...

— პირიქით, ოპტიმისტები უფრო ბევრნი არიან. წინა მსოფლიოს ჩემპიონატამდე გერმანიაში მიაჩნდათ, რომ თუ ნაკრები ჯგუფიდან გავიდოდა, ეს უკვე ნორმალური შედეგი იქნებოდა, მაგრამ გუნდი ფინალში გავიდა. გერმანია ყოველთვის ფავორიტია, რადგან იცის, თუ რა დროს როგორ უნდა წარმართოს თამაში, რა დროს რა გააკეთოს, გერმანია ყოველთვის მზადაა, მომენტი გამოიყენოს და გაიმარჯვოს.

— და ექსტრაკლასის მოთამაშეები რომ აღარ ჰყავს გერმანიას, ეს რისი ბრალია?

— როგორც უნდა იყოს, გერმანიაში კვლავაც ფეხბურთის ბუმია, გერმანელებისთვის კვლავაც მომხიბვლელია ფეხბურთელობა და ფეხბურთზეც ძალიან ბევრი ბავშვი დადის.

— ახალგაზრდა გერმანელი ფეხბურთელებიდან ყველაზე პოპულარული ვინ არის?

— ახალგაზრდებიდან კი არა, საერთოდ, ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი გერმანიაში ახლა ლუკაშ პოდოლსკია. არადა, ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ძალიან ძნელია, როცა ყველგან მისი სახელი და გვარი ესმის და მის მიმართ მოთხოვნები ძალიან გაიზარდა — პოდოლსკისგან ახლა ყოველთვის ბევრს ელიან. ასეთ აჟიოტაჟს გერმანიაში „პოდოლსკომანია“ დაარქვეს. პოდოლსკიმ „ადიდასთან“ პირადი კონტრაქტიც გააფორმა. 2006-ის მსოფლიო ჩემპიონატისთვის გერმანიის ნაკრების ფეხბურთელების მაისურების გაყიდვა უკვე დაიწყო და ყველაზე მეტი პოდოლსკის მაისურა გაიყიდა. გერმანელებს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ყველაზე მეტად სწორედ მისი იმედი აქვთ.

— თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი გახდება. მის კომპეტენციაში, ალბათ, ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ტოპმიოლერს ნაკრებში არასოდეს უმუშავია და როგორ ფიქრობ, ნაკრებისა და კლუბის გაწვრთნის სპეციფიკა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან?

— არა მგონია, დიდი სხვაობა იყოს. რამდენიმე მწვრთნელმა დაამტკიცა, რომ კლუბშიც შეუძლია წარმატების მიღწევა და ნაკრებშიც, მაგალითად, ოტო რეჰაგელმა. ტოპმიოლერს გერმანიაში კარგი იმიჯი აქვს და ვერავინ იტყვის მასზე, პრაგმატული მწვრთნელი არ არისო. საერთოდ, ძლიერი მწვრთნელით და შედარებით სუსტი ფეხბურთელებით უფრო შესაძლებელია შედეგის მიღწევა, ვიდრე ძლიერი ფეხბურთელებითა და შედარებით სუსტი მწვრთნელით. სანამ „ჩელსიში“ მაურინიუ არ მივიდა, გუნდს მაღალი შედეგი არ ჰქონდა — ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავთ „რეალს“ და „ინტერს“, მაგრამ შესაბამისი შედეგი არ აქვთ. მოკლედ, მწვრთნელს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ძლიერი მწვრთნელის გარეშე წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია.

**დავით თავართქილაძე**

## კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ჰეი, ქართველებო! ჰეი, ქართველებო, მეთქი! ფრთხილად, არ გაბრიყვდეთ! ნუ გაყიდით სამშობლოს, ცას ფირუზს- ხმელეთს ზურმუხტს, ილიას და აკაკის, შოთას (რუსთაველს) და ვაჟას, ნიჭს და ადათს, გოჩას და ხვიჩას, გაგებას და მეობას, ქეთოს და კოტეს, სიყვარულსა და პადსებიას. გონს მოდით, გამოდით პახმელიიდან — რას გვალევინებენ, კაცო, გაგიჟდები კაცი — გამოფხიზლდით და მიხვდით: ჩვენ უფსკრულის პირას ვდგავართ, შიგ ჩაგდებას კი მსოფლიო ანტიქართული შეთქმულება თავისი გერმანელი აგენტის კლაუს ტოპმიოლერის ხელით გვიპირებს. ტოპმიოლერი იქნება გზა ირიბი, ტოპმიოლერი იქნება ერის სულსა და ჯიბეში ხელის ფათური. და განა არ ვიცით, ძმებო და ძმების ძმებო, რა ფულსაც ითხოვს ქართველთა გასაუნიჭოებლად გამოგზავნილი ეს კაცი? პირველი ჩვენებით, რომელსაც ბოლომდე ვანვებით, წელიწადში მილიონ ორასი ათას ევროს. და იცით, რამდენია ეს? ეს არის... (ერთი წუთით, ჯიგარო, დავითვალო: დაპუსნიმ, კაცზე ოცდახუთი ლარი ვიანგარიშოთ, ევრო ლართან არის 2,14...) ჰო, ეს არის თითოეული ჩვენთაგანისთვის 103 448 მაგარი სუფრა, თითი დაადე და ლუბოი რესტორანში. და აი, ეს ფული უნდა გავიდეს ქვეყნიდან, მაშინ, როდესაც ჩვენ, ქართველობას, სუხიშვილების ერს, „კავკასიური ცარცის წრის“ ერს, ნანი ბრეგვაძის ერს, გვყავს საკუთარი ძალები, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს ნაკრების ფეხზე დაყენება და ისე ათამაშება, სისხლი 120 გრადუსამდე რომ აგვიდუღდეს, სადაც ბოტულიზმი საშიში აღარ არის.

მაინც ვინ არის ეს ადგილობრივი ძალაო, დავუშვათ იკითხა რომელიმე გონებაარეულმა. ვინ და, უცნობილესი ქართველი სპეციალისტი, უნიჭიერესი ადამიანი, კაცი კაცური, კაცი მოქეიფე, ალალი, მართალი, ძმობაში გამოცდილი, დამრტყმელი, სვეტაფორზე წითელზე გამვლელი, მტერთან მტრული და მოყვარესთან პახმელიიდან გამომსვლელი, ჩვენი საყვარელი და ბოლოხანს დავიწყებული ენგო პონტელავა, ჩემი ენგელბერტი, მაგას შემოევლოს ყველა მთაწმინდელი და ყველა სოლოლაკელი, დიღმელი და წყნეთელი, ვერელი და ვაკელი. ერთადერთო, ჩემო ღმერთო, ჩემო თბილისოოოოოო....

მერედა, რა უნდა მოითხოვოს ასეთი ენგელბერტ პონტელავამ? კაპიკსაც არ გამოართმევს თავის დედიკოს — გაჭირვებულ სამშობლოს. პირიქით, თუ საჭირო გახდება, ჯიბიდან ამოიღებს და აქეთ მოიტანს. ოღონდ სამშობლო იყოს კარგად, მხრებში გაშლილი, ამაყი მზერით კავკასიონის ქედს მიბჯენილი და ჭირსაც წაუღია ტოტალიზატორში მოგებული 179 და ხელის მაზში მოგებული 2 456 ლარი, ლილოში გრაჟის გაქირავებით მიღებული ორი კაპიკი და... ნუ, ეხლა იმას აღარ ვიტყვით, თორემ ისეთი დროა...

ჰოდა, მივცეთ ენგოს შანსი. ენგოს ფეხბურთი ქართულია, ანუ ჯიგრული. და თუ ენგოს მაინცდამაინც ჯიბრში უდგახართ, ჯანდაბას, იყოს სხვა, ოღონდ ქართველი, ნაღდი, კაცი ამბავში და გაგებაში გამგებიანი, რომელმაც აქაურობის ყველაფერი იცის: რომ ასაღები უნდა აიღოს, დასადები უნდა დაიდოს, წასაღები უნდა წაიღოს, გასაღებით უნდა გაიღოს, დასაწყები უნდა დაიწყოს, ასაწყობი უნდა აეწყოს, ჩასაწყობი უნდა ჩაეწყოს, დასაცხობი უნდა დაიცხოს, გასაძღომი უნდა გაიძღოს...

დანარჩენიც შენ დაუკარ!

**პაპუნა ძიძია**

P.S. გუშინ უბანში ისეთი წითელი ჩორნი ბუმერი გაიჩითა, პირი ღია დაგვრჩა.




კოსმოპოლიტური მიმოხილვა



ბადრი კოიოშვილის ფოტო

# ჩოლარიამ საათი გააჩერა

## ექსგენმდივანი ალმასკომის ფერისცვალებამ გააკვირვა

**გუშინწინ** ვალერი ჩოლარია სპორტის დეპარტამენტის შენობაში მდებარე საკუთარ ოფისში იჯდა და გზის გადაღმა, ფეხბურთის ფედერაციაში მიმდინარე ალმასკომის სხდომაზე მიწვევას ელოდა. ამაოდ. სხდომაზე დასწრების სურვილი კი ყოფილმა გენმდივანმა მას შემდეგ გამოთქვა, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ქართული ფეხბურთის დაქცევაში დასდო ბრალი.

რის თქმას აპირებდა ჩოლარია ალმასკომზე? გუშინ მან ალმასკომის წევრებისადმი მიმართვის ტექსტი გადმოგვცა და მოკლე კომენტარიც გააკეთა...

— წერილობით მივმართე ალმასკომის წევრებს და ვთხოვე, ჩემი მიწვევის საკითხი კენჭისყრაზე დაეყენებინათ. მადლობას ვუხდი მურად ანჯაფარიძეს, რომ ამ თემაზე ისაუბრა, მაგრამ კენჭისყრამდე საქმე არ მისულა.

–გასაკვირი რა არის, იცით? როცა ფედერაციაში გენმდივნად მეორედ მივბრუნდი, ალმასკომმა ერთხმად დაუჭირა ამას მხარი. ივნისშიც, როცა ფედერაციიდან მივდიოდი, ასევე ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით გადამიხადეს მადლობა და დამაჯილდოვეს. ალმასკომის იმ შემადგენლობიდან ექვსი პიროვნება (ანჯაფარიძე, ახვლედიანი, რუხაძე, მინდელი, რამიშვილი, კვარაცხელია) ალმასკომის ამ შემადგენლობაშიც შედის და გუშინდელ სხდომას ესწრებოდა — ფაქტობრივად, გუშინდელი სხდომის უმრავლესობას ის ხალხი შეადგენდა, ვინც ექვსი თვის წინ „კეთილსინდისიერი მუშაობისთვის“ მადლობას მიხდიდა, გუშინ კი ჩემი მოსმენაც არ ისურვეს.

**გიორგი ნოზაძე**

# მიმართვა

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის წევრებს

ბატონებო! ამა წლის დეკემბრის პირველ დეკადაში მოგმართეთ თხოვნით, უახლოესი ალმასკომის დღის წესრიგში შეგტანათ საკითხი, სფფ-ის გენერალური მდივნის საქმიანობის შეფასება 1998 წლის დეკემბრიდან 2005 წლის ივნისამდე (2004 წლის მარტ-ოქტომბრის გამოკლებით, როცა მე არ გახლდით აღნიშნულ თანამდებობაზე). სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო თქვენ არ ისარგებლეთ სფფ-ის წესდებით მონიჭებული უფლებით.

ვვარაუდობ, ალმასკომის წევრების ეს გადაწყვეტილება იმით იყო ნაკარნახევი, რომ ამ საკითხის განხილვა არ წაადგებოდა ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეს. ვგონებ, ცდებით, დრო თქვენი გადაწყვეტილების მართლზომიერებასაც შეაფასებს, ერთი რამ კი დღესვე ცხადია, თქვენ საკუთარი ნებით (თუ სხვათა კარნახით) უარი თქვით ქართული ფეხბურთისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტის პასუხისმგებლობაზე და ვერავითარ გავლენას ვერ ახდენთ ფეხბურთის განვითარებაზე საქართველოში!

ბატონებო! გარწმუნებთ, რომ ალმასკომის წინა შემადგენლობის (რამდენიმე თქვენთაგანი ამ უკანასკნელის წევრიც იყო) გადაწყვეტილებები, რომელთა მონიტორინგიც გენერალური მდივნის ფუნქციონალური მოვალეობა იყო, პრაქტიკულად ყველა მიმართული იყო ქართული ფეხბურთის განვითარებისკენ.

1. 2002 წლისთვის სფფ-მ სრულად დაფარა სახელმწიფო ბიუჯეტის, კერძო თუ იურიდიული პირებისადმი არსებული ყველა დავალიანება, ამასთან დაიფარა წინა პრეზიდენტისა და ალმასკომის (1998 წლამდე) მიერ უეფასაგან ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დასამონტაჟებლად აღებული დახმარება (1 მილიონი შვეიცარიული ფრანკის ოდენობით).

2. „ბოსელიდან“ სფფ-ის აპარატი გადავიდა „ქართული ფეხბურთის სახლში“, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს 20 საუკეთესო ნაგებობათა სიაშია შეტანილი.

3. ნაცვლად უგზო-უკვლოდ დაკარგული ავტომანქანა „ვოლგისა“ და გადამწვარი „ბენზინმზიდისა“, ეროვნული ნაკრებებისთვის შეძენილ იქნა ახალი, „მერსედესის“ მარკის ავტობუსი და მიკრო-ავტობუსი, რომლებიც იმ დროისთვის საუკეთესო ავტოსატრანსპორტო საშუალებები იყო ქვეყანაში.

4. დამთავრდა სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ მშენებლობის პირველი რიგის სამუშაოები. უეფას ქვეყნებს შორის პირველებმა მივიღეთ ფიფას პროექტ „გოლი 2“-ის (გულისხმობს ტექნიკური ცენტრისთვის ხელოვნურსაფარიან სტანდარტული მოედნის მშენებლობას) რეალიზაციის უფლება.

5. 2000 წლიდან დაიწყო რეგიონალური ფედერაციების წილობრივი დაფინანსება, რამდენიმეჯერ გაიზარდა სფფ-ის თანამშრომელთა ხელფასი.

6. დამტკიცდა და რეალიზაციის სტადიაშია უეფას პროექტი „ჰეთ თრიქი“, რომელიც გულისხმობს — მსაჯთა აკადემიას, მწვრთნელთათვის „ბ“ ლიცენზიის მოსაპოვებელ კურსებს, სფფ-ის ტექნიკური ცენტრის უზრუნველყოფას ინვენტარით და აღჭურვილობით, რეგიონალური ფედერაციებისთვის ოფისების და მინი-მოედნების მშენებლობას, რომლებზეც უნდა გახსნილიყო სფფ-ის ბავშვთა საფეხბურთო სკოლები.

ბათუმში დამონტაჟდა 2004 წელს პრაქტიკულად დაკარგული უეფას საჩუქარი, ფრანგული წარმოების მინი-მოედანი.

7. მოხდა ბავშვთა სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების პროექტის რეალიზაცია, რაც ყოველწლიურად ჩვენს ბავშვებს აძლევს უფასო სპორტულ ფორმას, მწვრთნელებს კი სპორტულ ეკიპირებასთან ერთად უფასო სემინარებში მონაწილეობის უფლებას (ყოველწლიურად ამ პროექტში მონაწილეობს 12 ინსტრუქტორი, 196 მწვრთნელი, 2 900 ბავშვი).

8. საერთაშორისო ტურნირებზე და მატჩებზე ეროვნული ნაკრების მგზავრობის და განთავსების უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების და მოთხოვნების დონეზე.

ნაკრებების სრული ეკიპირება სპორტული ფორმით, რომლის ხარისხიც სამწუხაროდ ბევრად აღემატებოდა ამ ნაკრებების მიერ ნაჩვენები თამაშის ხარისხს (რასაკვირველია, ეს ცალკე განსჯის თემაა და თუ ვინმეს აქვს ჩემი აზრის მოსმენის სურვილი, მზად ვარ ვიმსჯელოთ ამ საკითხზე).

ერთი სიტყვით, ალმასკომის ყოფილმა შემადგენლობამ და გენერალურმა მდივანმა რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს, ახალ ალმასკომს გულწრფელად ვუსურვებ, მეტი გაეკეთებინოს.

საბედნიეროდ, მე არ მაქვს ფიფას და უეფას პრეზიდენტების უფლებამოსილება, შევაჩერო ან განვაახლო სფფ-სთვის პროექტების ფინანსირება. არ არსებობს არც ერთი დოკუმენტი, არც ერთი ადამიანი იმის დასტურ, რომ მე შევაჩერე პროგრამების — „ჰეთ თრიქი“ (უეფა), „გოლი 2“ (ფიფა) და სფფ-ის ფინანსირება. ყველაფერს ნათელი მოეფინება, თუ დაუკავშირდებით ამ პროგრამების კურატორებს — ბატონ ბრუნო ვოლფისბერგს („ჰეთ თრიქი“) და ბატონ ვალერი ჩუხრის („გოლი 2“). აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ადამიანი, ნებისმიერ თანამდებობაზე მყოფი, ვინც მე ამაში მადანაშაულებს — მატყუარაა!

ბატონებო! ის ფაქტები, რომ ალმასკომის შემადგენლობას ტოვებენ ალექსანდრე ჩივაძე და ლევან ყიფიანი, დემონსტრაციულად არ მონაწილეობს მის მუშაობაში ვლადიმერ გუცაევი, გადადგნენ დაკავებული თანამდებობიდან გრიგოლ ცაავა და დავით ნამგალაძე, უგულებელყოფილია დავით პეტრიაშვილის და გია გეგუჩაძის ცოდნა და გამოცდილება, ადასტურებს, რომ ქართული ფეხბურთი არასწორად ვითარდება.

ყოველი კოლექტივი ისეთ ხელმძღვანელს იმსახურებს, როგორსაც თავად ირჩევს! არადა, ქართული ფეხბურთი ამის ღირსი ნამდვილად არ არის.

ბატონებო! თქვენ ვერ უარყოფთ იმ ფაქტს, რომ მე დავბრუნდი 2004 წლის ოქტომბერში გენერალური მდივნის თანამდებობაზე სფფ-ის მაშინდელი პრეზიდენტის თხოვნით და ალმასკომის ერთსულოვანი თანხმობით. მხოლოდ დროებით და 7 თვის განმავლობაში არ შევსულვარ გენერალური მდივნის კაბინეტში, ვმუშაობდი რა კონფერენცდარბაზში. მაგრამ მე მეამაყება, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ისე დავტოვე, არც ერთი თეთრი ვალი ამ ორგანიზაციას არ დარჩენია. ამასთან, ყველა პროექტი დამტკიცებულია და განხორციელების სტადიაშია. ყოველივე ამის შესახებ მე ერთხელ უკვე ვაცნობე საქართველოს საფეხბურთო საზოგადოებას, ფიფას და უეფას (27 მაისი, 2004 წელი).

**ვალერი ჩოლარია**

**P.S.** რასაკვირველია, მე ვაბრუნებ საათს, რომლითაც ალმასკომმა დამაჯილდოვა „კეთილსინდისიერი საქმიანობისთვის“ (10.06.2005).





აკაკი დევაძე „სპარტაკის“ კარში „დინამოსთან“ მატჩის მერე აღარ ჩამდგარა



პრობლემებმიძალებულმა სპარტაკელებმა ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ „სიონს“ ორი ქულა აართვეს

## სპარტაკი

# რა მინდოდა უმაღლესში...

თბილისის „სპარტაკი“ ოდესღაც იყო კლუბი, რომელსაც საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაშიც კი უთამაშია, ეს ძალიან ადრეულ წლებში იყო, ანუ იმ დროს, რომელსაც ჩვენი გაზეთის არც ერთი ჟურნალისტი არ შესწრებია...

ოთხი-ხუთი წლის წინ კი ახალი „სპარტაკი“ დაიბადა აწ უკვე საქართველოს ჩემპიონატში. კლუბის პრეზიდენტი იმხანად რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის აკაკი ჩხაიძის ძმა, როლანდ ჩხაიძე გახდა და დღესაც ისაა „სპარტაკის“ პირველკაცი, თუმცა მაშინდელივით ფულს ვეღარ გამოდის.

„სპარტაკი“ და ჯიბესქელობა აწ ისე შორსაა ერთმანეთისგან, როგორც საქართველოს ნაკრები და მსოფლიოს ჩემპიონატი. ამიტომაცაა, როლანდ ჩხაიძის კლუბი ვეებერთელა იმედებით რომ არ გადმოსულა უმაღლეს ლიგაში და, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ, ფაქტობრივად ირიცხება იქ — არადა, 16-გუნდიანობის ტალღა რომ არა, „სპარტაკი“ ისევ პირველ ლიგაში დარჩებოდა, რადგან შარშან იქ მესამე ადგილი დაიკავა.

გუნდი რომ ქვევიდან ზევით ადის, ლოგიკა მოითხოვს შემადგენლობის გაძლიერებას — სადაც მიდიხარ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო, მაგრამ პირიქით კი მოხდა: „სპარტაკიდან“ სეზონის წინ წავიდა ბომბარდირი დიმიტრი ტატანაშვილი, დაცვის ლიდერი გიგა ჟვანია, მათ სხვებიც მიჰყვნენ და ნამატი? უმნიშვნელო, 17-18 წლის გამოუცდელი ბიჭები, რომელთაც ოქტომბერში ორი-სამი თამაშით ეროვნული ნაკრების ექსმთავარმეკარე აკაკი დევაძე დაუბრუნდათ, მაგრამ თურქეთთან მიღებული უმძიმესი ტრავმის შემდეგ კაკო ცხრაკლიტულივით ვეღარ იცავდა კარს და საფეხბურთო კარიერის დასრულებაც გადაწყვიტა.

სეზონის დაწყების წინ „სპარტაკის“ მწვრთნელად ბესიკ შეროზიას ნაცვლად გიგლა იმნაძე დაინიშნა, მაგრამ მშიერ გუნდს მარტო ეს რომ აპურებდეს... თბილისელებმა მათსავით ძალად უმაღლესლიგელ გორის „დილასთან“ წაგებით დაიწყეს ჩემპიონატი, მერე იყო „ბათუმთან“ ფრე და კარგა ხანს იმნაძის ბიჭებს ქულისკენ აღარც გაუხედავთ. „სპარტაკმა“ პირველ წრეში მხოლოდ მასსავით ჭაბუკებით გაძეძგილ „თბილისს“ მოუგო და ახლა სწორედ „თბილისთან“ „ძმურად“ იყოფს ბოლო-ბოლოსწინა ადგილებს.

...მაგრამ „სპარტაკმა“ ერთხელ მეორეადგილოსან „სიონსაც“ გაუბედა ტოლსწორობა, კარგა ხანს უგებდა კიდეც და ბოლოსღა გაუშვა გოლი, თუმცა მოდი და სპარტაკელთა იმ თამაშს ყარაულის თოფის გავარდნას ნუ დაარქმევ — ცოტა ხანში იმნაძის გუნდი „ლოკომოტივთან“ 0:6 განადგურდა. ხუთად ხუთი ქულა და სამად სამი გოლი: 15 ტური წინაა, მაგრამ „სპარტაკის“ გამონათებას პირი არ უჩანს.

აბა, რა მიზანი, რის მიზანი. როლანდ ჩხაიძემ დამაიმედებელი ვერაფერი გვითხრა: „ბევრი ფეხბურთელი სამი-ოთხი თვით იყო ჩვენთან და მათ გავუშვებთ. ისინი გამოუცდელი ბავშვები არიან. ვინმე ასე თუ ისე გამორჩეული მოთამაშის დამატებაზე ჯერ ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ფინანსურად ძალიან ცუდად გვაქვს საქმე. ახლა მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მწვრთნელი კვლავ გიგლა იმნაძე იქნება და ისევ „შევარდენზე“ ვითამაშებთ. შეკრებას კი 5 იანვარს ვიწყებთ“.

ისედაც გაჭირვებულ „სპარტაკს“ თავდამსხმელი ვასილ ლუჭაშვილიც დატოვებს, რომელიც შესაძლოა, „ამერში“ გადაბარგდეს. ყოველ შემთხვევაში, „კუმანა“ (ასეთია ლუჭაშვილის მეტსახელი) ახალი წლიდან შეკრებას სწორედ გიორგი ჩიხრაძის გუნდში გაივლის. ლუჭაშვილის საპირველწრეო „მონაგარი“ ნული გოლი იყო, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ მას საკმაო პოტენციალი აქვს და სამიოდ წლის წინ ძალიან პერსპექტიულ ფორვარდად თვლიდნენ.

ერთი საინტერესო ამბავიც: ერთ-ერთი მატჩში გიგლა იმნაძემ მთლიანად მეორე შემადგენლობა ათამაშა და გადაწყვეტილება მარტივად ახსნა — „რა აზრი აქვს, ძლიერ გუნდებთან გინდ ძირითადი შემადგენლობა დავაყენო, მაინც წავაგებთ. ასე კი, სხვებსაც ვაძლევ შანსს. ჩემს ფეხბურთელებს მონდომებას ვერ დავუწუნებ, მაგრამ თავს ზემოთ ძალაა არაა“.

„სპარტაკი“ რომ გავარდნას გადაურჩეს, ან თავის თავს უნდა გადაახტეს, ანაც მასსავით ჯიბეცარიელი კონკურენტები უარესად უნდა დასუსტდნენ.

მგონი, მეორე ვარიანტი უფრო მოსალოდნელია...

**ილია ნანობაშვილი**

**პირველი ტური**
30 ივლისი, შაბათი
დილა 1:0 სპარტაკი

**მეორე ტური**
6 აგვისტო, შაბათი
სპარტაკი 0:0 ბათუმი

**მესამე ტური**
20 აგვისტო, შაბათი
კოლხეთი 1:0 სპარტაკი

**მეოთხე ტური**
27 აგვისტო, შაბათი
სპარტაკი 0:1 სოხუმი

**მეხუთე ტური**
10 სექტემბერი, შაბათი
კახეთი 1:0 სპარტაკი

**მეექვსე ტური**
16 სექტემბერი, პარასკევი
სპარტაკი 1:0 თბილისი

**მეშვიდე ტური**
25 სექტემბერი, კვირა
ზესტაფონი 1:0 სპარტაკი

**მერვე ტური**
2 ოქტომბერი, კვირა
სპარტაკი 0:3 დინამო

**მეცხრე ტური**
15 ოქტომბერი, შაბათი
ცხინვალი 2:0 სპარტაკი

**მეათე ტური**
23 ოქტომბერი, კვირა
სპარტაკი 1:4 ვიტ ჯორჯია

**მეთერთმეტე ტური**
30 ოქტომბერი, კვირა
ბორჯომი 5:0 სპარტაკი

**მეთორმეტე ტური**
5 ნოემბერი, შაბათი
ამერი 1:0 სპარტაკი

**მეცამეტე ტური**
14 ნოემბერი, ორშაბათი
სპარტაკი 1:1 სიონი

**მეთოთხმეტე ტური**
19 ნოემბერი, შაბათი
ტორპედო 1:0 სპარტაკი

**მეთხუთმეტე ტური**
28 ნოემბერი, ორშაბათი
სპარტაკი 0:6 ლოკომოტივი




მეგოლეები
1 — ლაშა ჯანგიძე
თემურ მჭედლიშვილი
ირაკლი მალიჩავა

**სპარტაკი პირველ წრეში**
15 თამაში, 1 მოგება, 2 ფრე, 12 წაგება, ბურთები 3:28, 5 ქულა

# ოცდაცხრამეტიდან ოცდაჩვიდმეტი

## გაზა ისევ სამკურნალოა



პოლ გესქოინი

**ინგლისური** ფეხბურთის დატანჯულმა ვეტერანმა ვარსკვლავმა პოლ გესქოინმა ძალიან სცადა ამერიკაში საიდუმლოდ გადაფრენილიყო. მისი ოკეანისგაღმა გამგზავრების მიზეზი სამხაო დღესასწაულის ლოთობისგან სარეაბილიტაციო კლინიკაში გატარება გახლდათ, მაგრამ, როგორც ხედავთ ეს ამბავი ჩვენც კი გავიგეთ, მისი სამშობლოდან ძალიან შორს. მას მერე, არც არც მეტი, არც ნაკლები, თვის ნონლიგის ერთ-ერთმა გუნდმაც კი სამსახურიდან დაითხოვა, ლეგენდამ თავი განადგურებულად იგრძნო და ტრაპზე ასვლის წინ, მაინც მიმწვდარ ინგლისელ ჟურნალისტებს უთხრა, რომ დამშვიდება და საკუთარ თავში გარკვევა სჭირდება.

— „კეტერინგ თაუნში" სამსახურის დაკარგვამ დამთრგუნა. არადა, ამ კლუბში სული და გული ჩავაქსოვე, ძალიან მინდოდა წარმატებისთვის მიმეღწია. გამანადგურა ჯორჯ ბესტის სიკვდილმაც. ის ჩემი კერპი და მეგობარი იყო. მოკლედ, ამ ბოლო ხანს ორი სერიოზული დარტყმა მივიღე, მაგრამ არა უშავს. მე ცხოვრებას ჯორჯივით არ დავასრულებ. მე პროფესიონალთა დახმარების მისაღებად მივდივარ" — განაცხადა „გაზამ".

კლინიკა, რომელიც ვახსენეთ, არიზონას შტატშია და „კოტონვუდი" ეწოდება, ხოლო ადამიანს, რომელმაც ახალ სამუშაოზე მისვლის 39 დღის განმავლობაში სიმთვრალესთან დაკავშირებული 37 გამოხდომა მოაწყო, დაგვეთანხმებით, მართლაც არ აწყენდა ექიმთა პროფესიული დახმარება.

სხვათაშორის, „გაზამ" უშუალოდ სამუშაოზე სმა უარყო, მაგრამ თამაშის დროს სიმთვრალის ერთი ფაქტი დაადასტურა:

— ჯორჯი რომ მოკვდა, იმ დღეს ორმაგი ბრენდი გადავხუხე.

გესქოინის აგენტმა ჯეინ მორგანმა განაცხადა: „პოლს ფეხბურთის გარეშე ცხოვრება ძალიან უჭირს და ამიტომაც გადაწყვიტა მკურნალობა. მკურნალობის შემდეგ ის თავს კარგად იგრძნობს და ფეხბურთს დაუბრუნდება".

**პაპუნა ძედია**




# ქართველების დაწუნებული რეალში დაინიშნა

## ფლორენტინო ფსონს ფლოროზე ჩავიდა

**მადრიდის** „რეალს" ახალი სპორტული დირექტორი ჰყავს — იტალიელი არიგო საკის დათხოვნის შემდეგ, ფლორენტინო პერესმა არჩევანი ბენიტო ფლოროზე შეაჩერა. ბენიტო ფლორი 1992-1994 წლებში გახლდათ „რეალის" მწვრთნელი.

„მოხარული ვარ, რომ მადრიდში დაბრუნება ისევ მიწევს. ამ კლუბთან მუდამ ბრწყინვალე მოგონებები მაკავშირებდა" — მოკლედ განაცხადა ახალგამომცხვარმა სპორტულმა დირექტორმა.

ერთი ხნის წინ ბენიტო ფლორო საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად სახელდებოდა, მაგრამ, ვინ აცალა? აგერ, ბატონო, მოჰკიდა ფლორენტინო პერესმა ხელი და თვით „რეალში" დაისვა მარჯვენა ხელად. ეტყობა, სინიორ ფლორომ ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ამჯობინა. მოდი და გაამტყუნე...

**ლადო ხომერიკი**

*„პოში ნამდვილი ქალი არ არის, ის თავხედი და უზრდელია" — ამბობს ესპანელი ტელევარსკვლავი, 44 წლის ქერათმიანი ანა ობრეგონი, რომელსაც თურმე ნუ იტყვით და, მადრიდის „რეალის" ინგლისელი ვარსკვლავის, დევიდ ბექჰემის მეუღლე, პოშად წოდებული ვიქტორია ადამსი მივარდნია და გამოულანძღავს*

# დაანებეთ ჩემ ქმარს თავი!



მე რა შუაში ვარ? — დევიდ ბექემი
მეუღლე ვიქტორია ადამსმა ანა ობრეგონისგან „დაიცვა"





„ჩემსა და მას შორის ის განსხვავებაა, რომ მე ინტელექტუალი ვარ. მე გახლავართ ესპანეთის ტელევიზიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ადამიანი და კარიერისთვის პოპულარული კაცის გვერდით ყოფნა არ მჭირდება" — თქვა მშვენიერმა ანამ.

ახლა კი განვმარტოთ, რა ხდება და რატომ ჩხუბობენ პოპულარული ქალბატონები. საქმე ის არის, რომ ანა ობრეგონსა და დევიდ ბექემზე დაირხა ხმა, რომელმაც ვიქტორია ადამსს ეჭვი გაუღვივა და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მივარდა კიდეც მეტოქეს მადრიდის ერთ-ერთ მდიდრულ სავარჯიშო დარბაზში ყოფნისას.

„ვიქტორია რომ მომიახლოვდა, მეგონა, ჰელოუს თქმას აპირებდა — იგონებს ქერა ანა — მაგრამ უეცრად მან ყვირილი დაიწყო. მერედა, თან პირადი მცველები ახლდნენ, რამაც ჩემ გარშემო აგრესიული გარემო შექმნა. ის ყვიროდა, მე კი ლედი ვარ და მშვიდად ვუცქერდი. ის მიკიოდა, ჩემ ქმარს თავი დაანებე, შენნაირ ქალებს დევიდი ზედაც არ შეხედავსო. შემდეგ დააყოლა, როგორც ყველა ესპანელი ქალი, ბებერი და ძველმოდური ხარო. მე კი მინდოდა იცოდეს, რომ მის ასაკში (პოში 31 წლისაა) თავის დედოფლად წარმოდგენა, ილუზიებში ცხოვრებას ნიშნავს. და კიდევ, თუ ქმართან პრობლემები აქვს, მას დაელაპარაკოს და, არა მე".

**პაპუნა ძედია**

# რუმენიგემ ბალაკი გაუშვა

„**ბაიერნის**" თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე დარწმუნებულია, რომ მიხაელ ბალაკი სეზონის დასრულებისას გუნდიდან წავა.

„ვფიქრობ, ის აღარ დარჩება — განაცხადა რუმენიგემ — ექვსთვიანი ვაჭრობის შემდეგ კონტრაქტის გახანგრძლივება თუ არ ისურვა, ეს ნიშნავს, რომ „ბაიერნიდან" წასვლა უნდა. ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ მის შესანარჩუნებლად. მაისიდან ნოემბრამდე ვევაჭრეთ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა".



მიხაელ ბალაკი

მიხაელ ბალაკი 2006 წლის ივნისში თავისუფალი აგენტი გახდება და რუმენიგეს ვარაუდით, ინგლისის, იტალიის ან ესპანეთის რომელიმე გრანდში გადავა. გერმანელი ფეხბურთელის უპირველესი მსურველი მადრიდის „რეალია", თუმცა „მანჩესტერ იუნაიტედიც" აქტიურობს.

რაც შეეხება „ბაიერნისგან" მოთამაშეების შეძენას, რუმენიგეს აზრით, კარგი იქნება, თუ მომავალ სეზონში ბავარიული კლუბი ტიმ ბოროვსკის (ვერდერი) და ლუკაშ პოდოლსკის (კიოლნი) შეიძენს. „ბაიერნის" თავმჯდომარე ამ ტრანსფერების მოგვარებას ეცდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

*რიკარდუ იზეკსონ დუშ სანტუშ ლეიტემ, იგივე კაკამ, გუშინ სან პაულუში ცოლად შეირთო 18 წლის სტუდენტი კაროლინ სელისო. ცხადია, რომ ესაა ბრაზილიაში წლის ქორწილი*

# კაკას ქორწილი



600 სტუმრიან ყვენობაში დაპატიჟებულთა შორის იყვნენ: რონალდო, ადრიანო და კაფუ. ამის შესახებ პურ-მარილის ორგანიზატორმა და სიძის პრესმდივანმა, დიეგო კოტჩომ განაცხადა.

ცერემონია ევანგელისტურ ეკლესიაში გაიმართა, რომლის მომღერალთა გუნდის წევრია პატარძალი.

კაკა გუშინ ჩავიდა სამშობლოში და „მილანს" 2 იანვარს დაუბრუნდება.

ერთმანეთი 2002 წელს გაიცნეს. მერე მათი შეხვედრები გაიშვიათდა, რადგან 2003-ში ფეხბურთელი იტალიურ კლუბში გადავიდა. ქორწილის შემდეგ, რა თქმა უნდა, წყვილი მილანში იცხოვრებს.

**ვაჟა ხუციშვილი**



ნაიჯელ დე იონგის ხელში ჩაგდება „იუვენტუსს“ და „მილანს“ სურთ

# ვის დარჩება დე იონგი?

**ამსტერდამის** „აიაქსის“ ახალგაზრდა ვარსკვლავ ნაიჯელ დე იონგს კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და იგი რომელიმე გრანდში გადასვლას აპირებს. 21 წლის ფეხბურთელმა უკვე საჯაროდ თქვა, ახალი შეთანხმების გაფორმებას აღარ ვაპირებ და ზაფხულში „აიაქსს“ დავტოვებო.

ევროპული ფეხბურთის ბობოლებიც დაფაცურდნენ. აქამდე ჰოლანდიელს ტურინის „იუვენტუსს“ უკავშირებდნენ და ეს ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილი ჩანდა, თუმცა ახლა საქმეში მეორე იტალიური გრანდი „მილანიც“ ჩაერია. „როსონერის“ დაცვაში პრობლემები აქვს და გავრცელებული ცნობით, კარლო ანჩელოტი ორ ახალ მოთამაშეს ამიტომაც ეძებს — ერთს გამოცდილს, ხოლო მეორეს ახალგაზრდასა და პერსპექტიულს.

იმასაც ამბობენ, რომ „მილანის“ ყოფილი ვარსკვლავი და ამჟამად ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი მარკო ვან ბასტენი „შავ-წითლებს“ დე იონგის შეძენას ურჩევს, ხოლო თავად ფეხბურთელს „სან სიროზე“ გადაბარგებას შესაძლოა, მხარეებმა უკვე იანვარშივე დაიწყონ მოლაპარაკება.

„იუვენტუსის“ უპირატესობა კი დე იონგის აგენტი მინო რაიოლაა. მას ტურინელთა ხელმძღვანელობასთან, კერძოდ, მათ სპორტულ დირექტორ ლუჩანო მოჯისთან ჩინებული ურთიერთობა აქვს. სწორედ რაიოლაა ის კაცი, რომელმაც „დელე ალპიზე“ პაველ ნედვედი, ემერსონი და ზლატან იბრაჰიმოვიჩი ჩაიყვანა.

**ბოჩი ბანდელაძი**

# დემიკელისს იტალია ეძახის

**არგენტინელი** მარტინ დემიკელის შეძენით, იტალიური „მილანის“ თავკაცები დაინტერესდნენ.

მოგეხსენებათ, იგი წლეულს მიუნხენის „ბაიერნში“ ჩინებულად თამაშობს, ბავარიული გიგანტის სასარგებლოდ უდიდეს სამუშაოს ასრულებს და აპენინურმა გრანდმაც მარტინს ყურადღება ამიტომაც მიაპყრო. დემიკელისს ნახევარდაცვისა და დაცვის ცენტრში ერთნაირად შეუძლია ბურთაობა, რასაც ბუნდესლიგის გარდა, ალბათ, იტალიურ სერია A-შიც კარგად მოახერხებს.

„გაძეტა დელო სპორტი“ გვამცნობს, „მილანს“ „ბაიერნისთვის“ 8 მილიონი ევრო შეუთავაზებიაო, თუმცა დემიკელისი ბავარიელთათვის მეტისმეტად ძვირფასია და გერმანელებიც ჯერჯერობით ფეხს ითრევენ.

**ლადო ხომერიძი**



მარტინ დემიკელისს თვალი „მილანმა“ დაადგა

# იანვრიდან ვან ბასტენამდე

*1985 წლის დეკემბერში სილვიო ბერლუსკონი „მილანის“ პრეზიდენტი გახდა. ამ თვეში მისი გაპრეზიდენტებიდან 20 წელი შესრულდა.*

*სწორედ ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, „მილანის“ პატრონმა იტალიურ „გაძეტა დელო სპორტს“ ინტერვიუ „აჩუქა“, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ*

**— წარმოგედგინათ, რომ 20 წელიწადში კლუბი ამდენ ჯილდოს მოიგებდა, ან გული ხომ არ გწყდებათ, უფრო მეტი რომ ვერ შეძელით?**

— ვფიქრობ, მონაგარით კმაყოფილები უნდა ვიყოთ. ამ ხნის განმავლობაში ბევრს მივაღწიეთ და საპრეტენზიო არაფერი გვაქვს. უკან თუ დავბრუნდებით, პირველ რიგში, ის სიტყვა გამახსენდება, რომლითაც გაპრეზიდენტებისას გუნდს მივმართე: ჩვენი მისია ლამაზი ფეხბურთის თამაში და გამარჯვება იყო. ასეც მოხდა. მომდევნო 20 წელიწადშიც იმავეს ვაპირებთ.

**— ამბობენ, თითქოს, „მილანში“ „იუვენტუსის“ გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი გადმოდის...**

— არ მგონია. მასთან ამის თაობაზე მოლაპარაკება არ გვქონია.

**— რა უპირატესობა აქვს ამჟამინდელ „იუვეს“ „მილანთან“?**

— ამ სეზონში ჩვენ მათ მოვუგეთ, ცხრილში კი ჩამოვრჩებით, რადგან სტაბილურობა გვაკლდა. ამიტომაც გაგვასწრეს საგრძნობი სხვაობით, მიუხედავად იმისა, რომ „ლაციოსთან“ ორი ქულა დაკარგეს. „ლაციოსთან“ ფრეს ტურინელთა ღირსება არ შეულახავს. თამაში არ მინახავს, მაგრამ მითხრეს, რომ დიდებული მატჩი ყოფილა.

**— სკუდეტოს მოგების იმედი კვლავაც გაქვთ?**

— იმედი არასდროს უნდა დაკარგო. ამაზე კარლო ანჩელოტისა და ფეხბურთელებს ვესაუბრე. „მილანი“ არ დანებდება. მით უმეტეს, ჩემპიონობისთვის „ინტერი“ თუ იბრძვის, რომელიც ქულით გვისწრებს, ჩვენ რატომ უნდა ჩავიქნიოთ ხელი?

**— „ინტერმა“ გვარიანად მოუმატა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს სეზონი „შავ-ლურჯების“ ტრიუმფით დასრულდება?**

— ჩვენ დაახლოებით მსგავს ვითარებაში ვართ სატურნირო ცხრილის მიხედვით, მაგრამ მე „მილანი“ მაღარდებს — თუ გავითვალისწინებთ ჩემ საფეხბურთო ფილოსოფიას, მიხარია, რომ გუნდმა იუბილე „მესინასთან“ ბრწყინვალე გამარჯვებით მომილოცა. მეორე გოლი ფანტასტიკური იყო — ჯილარდინოს და კაკას ქუსლით პასები, რასაც შევჩენკოს ზუსტი დარტყმა მოჰყვა. ეს ის არის, რაც მსურს — გამარჯვებისა და სპექტაკლის სინთეზი.

**— აშკარაა, დაცვაში პრობლემები გაქვთ. გუნდმა „იუვენტუსთან“ შედარებით ორჯერ მეტი გოლი გაუშვა. ზამთარში გაძლიერებას აპირებთ?**

— ვნახოთ, მაგრამ ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. მაგალითად, იმავე „მესინასთან“ გოლი არ გაგვიშვია, მთლიანობაში კი, ასეთი დაცვით შორს ვერ წავალთ. გამიხარდა მასიმო ამბროზინის დაბრუნება. ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფეხბურთელია გუნდში და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მისი იმედი მაქვს.

**— ისე კენჭისყრაში არ გაგიმართლათ, მეტოქედ „ბაიერნი“ გერგოთ...**



— პირიქით, მე კმაყოფილი ვარ. აქამდე სამჯერ შევხვედრივართ „ბაიერნს“ და მათი ჩამოშორების შემდეგ, ფინალში სამჯერვე ვიმარჯვეთ. ეს დამთხვევები გვერდით გადავდოთ, „მილანი“ გრანდებთან ყოველთვის კარგად თამაშობს, საშუალო გუნდებთან კი პრობლემები ექმნება. ამ სეზონში მხოლოდ მილანურ დერბიში არ გაგვიმართლა, მაგრამ ზოგჯერ ასეც ხდება.

**— ჩემპიონთა თასი უმთავრეს მიზნად რჩება?**

— ამ ტურნირს თავისი ხიბლი აქვს და, თავისთავად ცხადია, ვისურვებდი, იუბილესთან დაკავშირებით ლიგის ფინალში „მილანი“ ვიხილო.

**— მეტოქედ ვის ინატრებდით?**

— ვერ გეტყვით, იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ „ლივერპული“ ჩვენთან შედარებით სუსტად მეჩვენებოდა, მაგრამ თავადაც იცით, როგორ დამთავრდა ის მატჩი. მთავარია, ფინალში გავიდეთ და ასეთ დროს ბევრი რამეა ყურადსაღები, რაც ლოგიკას არ ექვემდებარება. იდეალური იქნება, „ინტერს“ ან „იუვენტუსს“ თუ არ შევხვდებით. ასეთ შემთხვევაში, მთელი იტალია ჩვენ გვიქომაგებს.

**— მერე კი, მწვრთნელად მარკო ვან ბასტენი მოვა?**

— უდიდეს პატივს ვცემ მარკოს, რადგან ის „მილანის“ ლეგენდარული ფეხბურთელი იყო, მაგრამ გადმობირება არ მიცდია. მომწონს, როგორც მწვრთნელი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი „მილანის“ თავკაცი გახდება. ჩვენ ანჩელოტით კმაყოფილები ვართ და არ ვაპირებთ მის შეცვლას, რადგან კონტრაქტის გარდა, არსებობს მეგობრობა და თანმიმდევრობა. მშვიდად მუშაობის საშუალება უნდა ჰქონდეს. ანჩელოტისთან ერთად „მილანს“ კიდევ ბევრი ჯილდოს მოგება შეუძლია.



სილვიო ბერლუსკონი 20-წლიანი მონაგარით კმაყოფილია

# პირველი ბენიტესი

## მოხსენება რაფალუციის ორი წლის თავზე

*სახელის მოხვეჭაც ამას ჰქვია: „ლივერპულში“ რაფაელ ბენიტესის სამარადჟამო მწვრთნელობა განუზრახავთ. სუპერესპანელი, სულ რაღაც მეორე წელიწადია რაც „ენფილდ როუდზე“ მუშაობს და ეს დრო საკმარისი გამოდგა, რათა მის „რაფალუციას“ ინგლისური პრემიერლიგიდან ევროპული ფეხბურთისთვის ახალი გრანდი შეემატებინა. და, ბუნებრივია, თავად პრემიერლიგასაც შეემატა ფავორიტი. სწორედ ამით გახლდათ განპირობებული ლივერპულელთა აღმასრულებელი შეფის, რიკ პერის განცხადება მადრიდის „რეალისა“ და მწვრთნელის ძიებაში მყოფი სხვა დიდი გუნდების გასაგონად:*


AFP

„რაფას აქ განუსაზღვრელი დროით უნდა ვუყურო. რატომ უნდა განვიხილოთ ან გავიფიქროთ მისი წასვლის შესახებ, როდესაც საქმე ასე კარგად მიდის? მადრიდის „რეალმა“ ხვალ რომ დამირეკოს და რაფა მთხოვოს, ზრდილობიან, მაგრამ კატეგორიულ უარს ვეტყვი. ამასთან, ბუნებრივია, უარის თქმამდე საქმის კურსში თვით რაფასაც ჩავაყენებ, რადგან „ლივერპულში“ მისი მოღვაწეობა ნდობასა და გულახდილობაზეა აგებული. ხოლო „რეალის“ წინადადება, შეიძლება, ოდესმე მართლაც გახდეს მომხიბვლელი. თუმცა, ამ ეტაპზე „ლივერპულში“ საკონტრაქტო საკითხები არ გვიდგას, რაფასთან მომავალზე არ ვლაპარაკობთ. ამ საუბრებზე გაცილებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ მას ჩვენთან მუშაობა სიამოვნებს და იგებს“.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მოდით, ორიოდ სიტყვით ბენიტესსა და „რეალზე“ ვთქვათ. უპირველეს ყოვლისა, ამ ორ მხარეს საერთო აქვს ქალაქი — რაფა ბენიტესი 1960 წლის 16 აპრილს მადრიდში დაიბადა და საცხოვრებლადაც არსად გადასულა, იქვე გაიზარდა, თუმცა მხოლოდ ეს არ არის: ერთიხანობა ბენიტესი „რეალში“ მომუშავე მრავალრიცხოვან მწვრთნელთაგანი იყო.

რიკ პერი: „რაფა ბენიტესს მადრიდის „რეალთან“ უკვე მესამედ აკავშირებენ. ერთხელ ამაზე, ჯერ კიდევ ჩვენამდე ლაპარაკობდნენ. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ბენიტესისა და „რეალის“ ერთად ხსენებაში სიახლე არაფერია და ამას არ გავუკვირვებივართ. მეტსაც გეტყვით, ასეთ ხმებს მომავალშიც ველით, მაგრამ მთავარი და საინტერესო ეს კი არ არის, საინტერესო ისაა, რატომ ცვლიან „რეალის“ დარი თანავარსკვლავედის პატრონები მწვრთნელებს ასე ხშირად. რაფასთვის უმთავრესი მუდმივობა და თანმიმდევრულობაა, რაც მას „ლივერპულში“ გარანტირებული აქვს. განა მას თავის დროზე იმავ „რეალში“, ან თუ გნებავთ „ინტერში“ გადასვლა არ შეეძლო? შეეძლო, მაგრამ ისეთი ადამიანია, რომელსაც უცაბედი გაბრწყინება არ სჭირდება. მას ხანგრძლივ, თანმიმდევრულ პროექტებზე ბეჯითად მუშაობა ურჩევნია“.

ის, რომ ლივერპულში ბენიტესის სახელი ჰქუხს, გასულ სეზონში, ჩემპიონთა თასის მოგების შემდეგ გასაკვირი ნამდვილად არ არის. მერედა, „ლივერპული“ ინგლისური ტიტულისთვის ბრძოლაში „ჩელსის“ კონკურენტიცაა. პერი ამბობს, რომ მას „ჩელსის“ მეპატრონესთან, ჩუკოტკის გუბერნატორ რომან აბრამოვიჩთან ფულის ხარჯვაში გაჯიბრების შანსი არ აქვს, მაგრამ აქვს იმედი, რომელსაც რაფაელ ბენიტესი ჰქვია.

„ჩვენ რაფას რესურსებით კი უზრუნველვყოფთ, მაგრამ მიდგომა, „ჩელსის“ მიდგომისგან აშკარად განსხვავებული გვაქვს. კერძოდ, ჩვენ „ჩელსიზე“ მუყაითები და ჭკვიანები უნდა ვიყოთ, რასაც რაფაზე უკეთ ვერავინ მოახერხებს. ჩვენ კიდევ გვაქვს მიზანი, პრემიერლიგაში ტიტულისთვის მებრძოლთა მუდმივი კონკურენტები უნდა გავხდეთ. სწორედ ამ სამუშაოს გასაწევად არის რაფა ლივერპულში“.

და ბოლოს, საქმე იქამდეა მისული, რომ რაფა ბენიტესს თვით ლეგენდარულ ბილ შენკლისაც კი ადარებენ.

პერი: „მასსა და შენკლის შორის მართლაც არის საერთო, თუმცა განსხვავებასაც ვხედავ. მე თუ მკითხავთ, რაფას შენკლისთან შედარება უსამართლობაც არის. ის უმალ პირველი რაფაელ ბენიტესია, ვიდრე მეორე ბილ შენკლი. შენკლის მსგავსად, რაფაც იშვიათად ლაპარაკობს ფეხბურთის გარდა სხვა საკითხებზე. ისიც ძალიან მობილიზებული, ობიექტური და მებრძოლია. იანვარში, როდესაც სტივენ ჯერარდმა თქვა, ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ჯერ სათანადოდ ძლიერები არ ვართო, რაფა სასტიკად განაწყენდა და იკითხა: რატომ? ჩვენ გაგვიმართლა ბენიტესი „ლივერპულის“ მწვრთნელი რომ გახდა და გაუმართლა ბენიტესსაც — იგი სწორედ ასეთი მსოფლმხედველობის მქონე გუნდს ეძებდა. მაშ, რატომ უნდა დავცილდეთ ერთმანეთს?“

**პაპუნა ძიძია**

# ბარსა ხარ თუ დონკასტერი


AFP

**არსენ ვენგერმა** მკაცრად გააკრიტიკა „ბარსელონას“ შეფი ხუან ლაპორტა, რახან ამ უკანასკნელმა ფანებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ მზადაა ტიერი ანრის საყიდლად და ამას აუცილებლად გააკეთებს.

ვენგერმა თქვა: „საკვირველი საქციელია. ერთადერთი, რაც მათ უნდა გააკეთონ, ჩემი ტელეფონის ნომერი უნდა აკრიფონ, რადგან ტიერის ნახევარი წელიწადი კიდევ დარჩა ჩვენს გუნდში. ისინი საერთოდ არ გვცემენ პატივს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ოფიციალურად არ მოგვმართავენ. ამიტომაც, ჩვენ ვერაფრით ვუპასუხებთ. ფეხბურთში მნიშვნელობა არა აქვს ვინ ხარ, „ბარსელონა“ თუ „დონკასტერი“. წესებს პატივი უნდა სცე. მათ კი ეს დაივიწყეს. ამიტომ, ეს ამბავი არ მომწონს“.

ლაპორტას განცხადებით, ზაფხულში ანრი უკვე კატალონიაში იქნება. „მეთოფეთა“ უკმაყოფილებას ისიც აძლიერებს, რომ ანრიმ უარი თქვა კონტრაქტის განახლების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებაზე. მან გადაწყვიტა, რომ „არსენალს“ სეზონის ბოლოს, ანუ როგორც თავისუფალი აგენტი ისე ელაპარაკოს. ამაში ეშმაკობას ყველა ხედავს და, რა თქმა უნდა, ვენგერიც.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კა-სა-ნო

## რეალმა იტალიელი მალულად იყიდა

**აი, ამბავი** — გუშინდელი ესპანური მედიის ცნობით, „რომას“ ფორვარდი ანტონიო კასანო იანვრიდან მადრიდის „რეალში“ ითამაშებს.

მოგეხსენებათ, იტალიელი ფეხბურთელისა და მადრიდული კლუბის სატრანსფერო კეკლუცობა კარგა ხანს გრძელდებოდა და საბოლოოდ ასე დასრულდა — „მარკას“ თუ ვენდობით, ანტონიო კასანოს ესპანელებთან 2010 წლის 30 ივნისამდე გაუფორმებია კონტრაქტი.

„რომაელები ფეხბურთელის სანაცვლოდ თავიდან 6 მილიონ ევროს ითხოვდნენ, თუმც ბოლოს იტალიური კლუბი „რეალის“ შეთავაზებას დათანხმდა და წინასწარი გარიგებით კასანო „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შედარებით ნაკლებ ფასად გადავიდა“ — ვკითხულობთ „მარკაში“. „ნაკლები ფასი“ კი 3 მილიონი ევროა, ფლორენტინო პერესი კასანოს შესაძენად სწორედ ამ თანხის გაღებისთვის იყო მზად.

და ერთიც: მადრიდელები ანტონიო კასანოს შეძენის ამბავს ოფიციალურად იანვრის დასაწყისში გააცხადებენ.



**ლადო ხომერიკი**


AFP ბუენოს აირესიდან

# რიოში მარადონას კლავდნენ

**ლეგენდარულმა** დიეგო მარადონამ თქვა, რიო დე ჟანეიროს აეროპორტში იქაური პოლიციელები სიკვდილით მემუქრებოდნენო.

მოგეხსენებათ, დიეგომ ორი დღის წინ სახელგანთქმული ბრაზილიელის, თავისი მეგობრის, ზიკოს მიერ მოწყობილ საქველმოქმედო მატჩში მიიღო მონაწილეობა და როცა შემდეგ შინ დასაბრუნებლად აეროპორტს მიაკითხა, ბრაზილიელმა პოლიციელებმა საათნახევრით დააკავეს. რიოს გაზეთების ცნობით, ანტონიო კარლუშ ჟობიმის სახელობის აეროპორტში მარადონა აგრესიულად იქცეოდა — ბუენოს აირესის რეისზე დაგვიანებული არგენტინელი განაწყენდა და მომსახურე პერსონალს დებოში მოუწყო.

„კარი ცხვირწინ მოგვიკეტეს და განგვიცხადეს, რომ თვითმფრინავში ჩასხდომა დამთავრებულია. როცა მე ეს გავაპროტესტე, უმალ დაცვის წევრები მომცვივდნენ და ცხვირწინ იარაღი დამიტრიალეს. ერთ-ერთმა პოლიციელმა რევოლვერი ყელზე მომადო და სიკვდილით დამემუქრა“ — უთხრა უკვე ბუენოს აირესში ჩასულმა მარადონამ მედიას.

დიეგო მარადონა რიოში ნარკოლოგიურ ცენტრშიც გადაიყვანეს (ძველებურად ნარკოტიკის ან ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ ხომ არ არისო), მერე კი საათნახევარი პოლიციის განყოფილებაში ჰყავდათ, სანამ იქ არგენტინის ელჩი არ მივიდა და „ელ რეი“ პირადად არ გაათავისუფლა.

„ბრაზილიურმა გაზეთებმა დაწერეს, თითქოს მე აეროპორტში მინა ჩავამსხვრიე და პოლიციაც იმიტომ დამიჭირა. ეს მტკნარი სიცრუეა“ — აღნიშნა მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ. შემდეგ ისიც დაამატა, სულელები მსოფლიოს ყველა კუთხეში არიან, რიოში ერთ-ერთმა მათგანმა დამადო იარაღი და ამაში არგენტინა-ბრაზილიის ძველი ქიშპი მოსატანი არ არისო.

„როცა რევოლვერი დავინახე, გამეცინა და ვუთხარი, მიდი, მესროლე-მეთქი. იმ ტიპს ცნობილ ადამიანთან ჩხუბით სახელის მოხვეჭა უნდოდა, რაც მისდა საუბედუროდ, ვერ მოახერხა“ — დასძინა ბოლოს დიეგომ.

**ლადო ხომერიკი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიელი** მწვრთნელი და წარსულში ცნობილი ფეხბურთელი კარლოს ალბერტო ოთხთვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. იგი ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში, როდესაც ჯერ კიდევ „პაისანდუს" თავკაცი იყო, „ფლამენგოსთან მატჩისას შეხვედრის არბიტრს ეჩხუბა, გამოლანძღა და ლამის ფიზიკური შეურცხყოფაც მიაყენა. „პაისანდუმ" ის მატჩი 1:4 წააგო და მეორე დივიზიონში გავარდა.

**იტალიურმა** „ინტერმა" დაადასტურა ინფორმაცია, რომ იანვარში კლუბი ვიქტორ ობინიათი გაძლიერდება. 19 წლის ნიგერიელი წლეულს ჩინებულად თამაშობს და უკვე ეროვნულ გუნდშიც მიიწვიეს. „ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას ფეხბურთელთანაც და „კიევოსთანაც". ასე რომ, ობინია მალე შემოგვიერთდება" — თქვა „ინტერის" მფლობელმა მასიმო მორატიმ.

**ინგლისურ** „არსენალს" ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი დაუშავდა — რობინ ვან პერსიმ და კვინსი ოვუსუ-აბეიემ ლიგის თასზე „დონკასტერთან" მატჩისას მუხლის ტრავმები მიიღეს. პირველის მდგომარეობა არც ისე როტულადაა და ექიმები იმედოვნებენ, რომ ვან პერსის მალე გამოაჯანმრთელებენ, ხოლო მეორე ალბათ თებერვლის ბოლომდე ვეღარ იბურთავებს.

**იტალიური** „ფიორენტინა" სტადიონის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. „იებმა" ეს სასჯელი ტოსკანურ დერბიში, „ემპოლისთან" მატჩისას ფანების უწესო ქცევისათვის დაიმსახურეს. ფლორენციელთა ქომაგებმა აგრესიულობით თავი იქამდეც გამოიჩინეს, „იუვენტუსთან" თასის და შემდეგ სერია A-ს შეხვედრაში. ასე რომ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ჩეზარე პრანდელის გუნდი 15 იანვარს „კიევოსთან" ცარიელი ტრიბუნების წინაშე იბურთავებს.

**დანიურ** „ბრონდბიუს" ალბათ თავის მთავარ ვარსკვლავ დანიელ აგერთან განშორება მოუწევს. მას მერე, რაც გუნდი უეფას თასიდან გავარდა, 21 წლის მცველმა უკვე საჯაროდ განაცხადა, კარიერის გაგრძელება სხვა ქვეყანაში, რომელიმე წამყვან ჩემპიონატში მინდაო. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში აგერის ყიდვა „ლივერპულს" სურდა.

**შოტლანდიურ** „რეინჯერსში" განათხოვრებული ფრენსის ჯეფერსი იანვარში ალბათ „ჩარლტონს" დაუბრუნდება. „ჩაფრებმა" „კილმარნოკის" ფორვარდი კრის ბოიდი დაიმტეს და ჯეფერსის ადგილი გუნდში, ფაქტობრივად, აღარ რჩება. „არსენალის" ყოფილმა თავდამსხმელმაც გადაწყვიტა, ისევ „ჩარლტონის" ძირითად შემადგენლობაში სცადოს დამკვიდრება.

**ინგლისური** „ნიუკასლის" თავკაც გრემ სუნესს სურს, ალან შირერს კარიერის დასრულება გადააფიქრებინოს. „ძალიან არ მინდა, რომ ალანი ფეხბურთიდან წავიდეს. მაისამდე უნდა დავიცადოთ და მერე უფრო კონკრეტულად ვისაუბრებთ. მას კიდევ მრავალი გოლის გატანა შეუძლია. ვინც ბოლო კვირებში ჩვენი მატჩები ნახა, თავადაც დარწმუნდებოდა, თუ რა მნიშვნელოვანია შირერი გუნდისთვის" — თქვა სუნესმა.

**პორტუგალიის** ნაკრებისა და მოსკოვის „დინამოს" ნახევარმცველ მანიშეს ლონდონის „ჩელსიმაც" დაადგა თვალი. ინგლისელთა თავკაც ჟოზე მაურინიუს თავისი ყოფილი შეგირდი მიკაელ ესიენის შემცვლელად ესახება. ამ უკანასკნელს ჩემპიონთა ლიგაში ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს და თან აფრიკის ერთვნებათა თასზე აპირებს გამგზავრებას. ასე რომ, ესიენი „ჩელსის" კარგა ხანს დააკლდება და მაურინიუც მის შემცვლელზე ამიტომ ზრუნავს.

**რუსეთში** ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა გამოცემა „ფუტბოლმა" ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ ცსკა-ს ბრაზილიელი ლეგიონერი დანი კარვალიუ აღიარა. ცნობილი ჟურნალის გამოკითხვაში დანიმ დიდი სხვაობით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ანდრეი არშავინს. ზენიტელს კი სულ ოდნავ ჩამორჩა კიდევ ერთი არმიელი, მეკარე იგორ აკინფეევი.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა ჟერარ პიკემ კლუბის ქომაგები დაამშვიდა, არსად წასვლას არ ვაპირებო. 18 წლის ფეხბურთელი ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება „წითელი ეშმაკების" რიგებში. პიკეს სახელს აქტიურად უკავშირებენ „ბარსელონას", მაგრამ, მისი თქმით, კატალონიაში გადაბარგებაზე არ ფიქრობს.

**ფრანგული** „ნანსი" პსჟ-ს ორი ფეხბურთელით, სერგეი სემაკითა და ფაბრის პანკრატით დაინტერესდა. ნანსელთა თავმჯდომარე ჟაკე რუსულოს ამ ორი მოთამაშის სეზონის ბოლომდე თხოვება უნდა. მხარეებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. იმასაც ამბობენ, სემაკის ამბავი თითქმის შეთანხმებულია და ახლა პანკრატთან მოლაპარაკების დასრულებას ელიანო.

**ჰოლანდიური** „ფეიენოორდის" ვარსკვლავ დირკ კუიტის აგენტმა რობ იონსენმა თავისი კლიენტის სურვილი გაამხილა. როგორც ირკვევა, კუიტს სურს, „არსენალში" გადავიდეს და მისი თანამემამულე დენის ბერხკამპი შეცვალოს. „დირკის შეძენა ბევრ კლუბს სწადია და „ფეიენოორდიც" მასში დიდი თანხას მოითხოვს. ერთ-ერთი მთავარი ვარიანტი „არსენალია", საიდანაც სეზონის ბოლოს ბერხკამპი მიდის და კუიტსაც მისი შეცვლა უნდა" — თქვა იონსენმა.

**იტალიური** „ფიორენტინას" ფორვარდმა ლუკა ტონიმ აღნიშნა, რომ „ბარსელონაში" თამაში მისი ოცნებაა. „კამპ ნოუზე" გადასვლის შანსი რომ მომეცეს, ამას დაუყოვნებლივ გავაკეთებ და თან დიდი სიხარულით. კატალონიელებს მსოფლიოში უძლიერესი კლუბი და საუკეთესო მოთამაშე რონალდინიო ჰყავთ" — თქვა ტონიმ.

# საშობაო ბარათის ბოლო



ჟოზე მაურინიუ

AFP

**„ჩელსის"** თავკაცმა ჟოზე მაურინიუმ თქვა, რომ ძალიან ნანობს იმ გამოთქმათა გამო, რომლებითაც არსენ ვენგერი შემკო სეზონის განმავლობაში. ყველაზე უხერხული ამათგან „მოთვალთვალე" იყო, რაც სახალხო ენაში იმას გულისხმობს, რომ უილაჯო კაცი სხვათა სექსს მალვით აკვირდებოდეს.

„უკან რომ დავბრუნდე, ვიტყოდი, შენს საქმეს მიხედე და სხვებს თავი დაანებე-მეთქი — აღიარა მაურინიუმ — სულაც არ მინდოდა, არსენის წყენინება".

ალბათ ამის შესახებ ჩაწერა მაურინიუმ ვენგერისადმი გაგზავნილ საშობაო ბარათში, რომლის სინამდვილეც არსენმა არ დაიჯერა და ამით განაწყენებულმა ჟოზემ გასულ კვირას ხელი არ ჩამოართვა „მეთოფეთა" მენეჯერს.

„ვალუევმა სხვა მძიმეწონოსნებს ხელთათმანი გადაუგდო. იგი ახლა ჩემპიონის ქამარს ფლობს და არ უნდა, რომ მსგავსი ვინმე სხვასაც ჰქონდეს. მას სურს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონობა და ჩვენ მოვაწყობთ გამაერთიანებელ ტურნირს, რათა ასეთი ჩემპიონი გამოვავლინოთ.

ირკვევა, რომ კინგი ვალუევის მომავალი ბრძოლის უფლებათა ნაწილს ფლობს.

# რიკი ჰატონი წლის მოკრივეა

**პირველ** საშუალო წონაში (63,5 კგ-მდე) WBA და IBF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი რიკი ჰატონი „წლის მოკრივედ" დაასახელა მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტულმა საკრივო ჟურნალმა THE RING-მა.

ასეთი გადაწყვეტილება განაპირობა ჰატონის გამარჯვებებმა კონსტანტინ ცზიუსთან ბრძოლაში და კარლოს მაუსისთან შეხვედრაში, რამაც რიკის ორივე ვერსიით ჩემპიონის ტიტულები მოუტანა.

„ჰატონმა 63,5 კგ-მდე წონით კატეგორიაში ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მოკრივეს არა მხოლოდ ტიტული ჩამოართვა, არამედ შემდეგ პირველივე ტიტულის დაცვაში სძლია ძალზე ძლიერ პრეტენდენტს, რაც მან ძალზე ლამაზი მანერით შესძლო, ეს კი ძალზე მოსწონს მაყურებელს და განაპირობებს ტრიბუნების პირთამდე შევსებას" — თქვა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ნაიჯელ კოლინზმა ჰატონის დაჯილდოების ცერემონიალზე.

ოლიმპიზმი

# მოსკოვი პატარა რგოლებს ეკეკლუცება

**უახლოეს** ხანს მოსკოვი შესაძლოა გახდეს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი. ამის თაობაზე გუშინ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესიაზე განაცხადა ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტმა ვიტალი სმირნოვმა.

სმირნოვის თქმით, იდეა, რომელიც დიდხანს იყო გამოკიდებული ჰაერში, ბოლო დროს მატერიალური გადაწყვეტისკენ წავიდა.

„მოსკოვის, როგორც მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩატარების ინიციატორს, შეუძლია პრეტენზიები წამოაყენოს, რათა კენჭისყრის გარეშე მიიღოს ამ შეჯიბრების გამართვის უფლება".

ასე რომ, რუსეთმა, რომელმაც წლეულს დიდი ხუთი რგოლი ვერ დაიჭირა, შესაძლოა პატარა ხელიდან აღარ გაუშვას.

ამავე სესიაზე რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლეონიდ ტიაგაჩევი კვლავ აირჩიეს ამ პოსტზე. მან 220 ხმა დაიმსახურა.

39 ხმა მოაგროვა „სპორტული რუსეთის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ, ფიგურულ ციგაობაში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონმა ირინა როდნინამ, ხოლო ამავე ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ ვალენტინ ბალახნიჩევს 18 კაცმა დაუჭირა მხარი.

**პირველი** სიტყვა მასპინძლისა იყო. სეოკ-ის პრეზიდენტმა დამსწრეთ აუწყა, რომ სესიას 119 წევრი ესწრებოდა. უმეტესად ოლიმპიური სპორტის სახეობების ფედერაციათა წარმომადგენლები და სპორტსმენები. დღის წესრიგიც მალევე დამტკიცდა. მანამდე 2005 წელს გარაცვლილ დიდ ქართველ სპორტსმენებს: ოთარ ქორქიას, გაიოზ ჯეჯელავასა და კობა კურტანიძეს წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.

დღის წესრიგის დამტკიცებისთანავე ტრიბუნა სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტსა და სპორტის ზამთრის სახეობების ხელმძღვანელ გოგი თოფაძეს დაუთმეს. მან, როგორც შემდგომ გამომსვლელთა უმეტესობამ, ძირითადად ყურადღება „ბორჯომი 2014“-ის განაცხადის წამოყენებას დაუთმო. ოლიმპიურ ფონდს ამ იდეის განხორციელებისა და საერთოდ საქართველოში სპორტის აღორძინებაზე ზრუნვისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალი წლის ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველთა სამზადისზეც ისაუბრა:

— საქართველოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ჯერ მედალი არ მოუპოვებია, მაგრამ საქმისადმი სერიოზულად მიდგომა შედეგამდე აუცილებლად მიგვიყვანს. ამას ახალგაზრდა სპორტსმენების შესაძლებლობებიდან გამომდინარეც ვამბობ. ყველაზე ახლოს ტურინში მედალთან ჩვენი მოთხილამურე სოფო ახმეტელი უნდა ყოფილიყო. საამისოდ მართლაც რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ ოქტომბერში უმძიმესი ტრავმა მიიღო და აქტიურ სპორტს ჯერაც არ დაბრუნებია. ყველანაირად ვცდილობთ, ეს ახლო მომავალში შეძლოს, ოპტიმალური ფორმის აღდგენა კი გაცილებით ძნელი სავარაუდოა.

თოფაძემ ქართველ სპორტსმენთათვის სამშობლოში სავარჯიშო პირობების არარსებობაც ახსენა და უცხოეთში მოვარჯიშე ჩვენებურთა გვარ-სახელებიც ჩამოთვალა, თუმც მდგომარეობიდან გამოსვლასაც თავადვე დაგვპირდა. იანვრის ბოლოს ბაკურიანში ულტრათანამედროვე კომპლექსი გაიხსნება და ქართველი სპორტსმენები სეზონის განმავლობაში დაახლოებით 5-6 თვე სამშობლოში ივარჯიშებენო.

ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ოლიმპიური ფონდის საამსეზონო საქმიანობასა და სამომავალწლო გეგმებზე უფრო დაწვრილებით ილაპარაკა. ციფრებზე არ დავკონკრეტდებით. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ გაისად გაწეულ სამუშაოებზე



სესიის პრეზიდიუმი: გიგი უგულავა, გოგი თოფაძე, ემზარ ზენაიშვილი, ბადრი პატარკაციშვილი, ლერი ხაბელოვი და გოკა გაბაშვილი

# ბორჯომზე საუბარს ფურშეტი დესერტივით მოჰყვა

*გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციაში ქართულ სპორტში მოტრიალე ხალხი შეიკრიბა. მიზეზი სეოკ-ის სესია იყო, რომელზეც გასული სეზონი უნდა შეეჯამებინათ და სამომავალწლო და უფრო შორეულ გეგმებზეც ესაუბრათ*



ვაჟა შუბლაძე



ბადრი პატარკაციშვილი



გოგი თოფაძე

ბევრადაა დამოკიდებული, დაასახელებს თუ არა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ბორჯომს 2014 წლის ოლიმპიური თამაშების კანდიდატად. ამჟამად პრეტენზიას აცხადებენ ალმათი (ყაზახეთი), ზალცბურგი (ავსტრია), პიონჩანი (კორეა), სოფია (ბულგარეთი), ხაკა (ესპანეთი) და სოჭი (რუსეთი), კანდიდატთა შორის საუკეთესო კი 2007 წლის ივლისში გამოვლინდება.

ყველაზე დიდხანს პროექტ „ბორჯომი 2014“-ის გენერალური მენეჯერის, ვაჟა შუბლაძის გამოსვლამ გასტანა. მან ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ მებრძოლი ქალაქის მოკლე პრეზენტაცია მოაწყო, ყველა ნიუანსი პუნქტების მიხედვით მიმოიხილა: ბაზები, დარბაზი, სპორტული ტრასები, სასტუმროები, გზები, ტრანსპორტი და სხვა მრავალი. ითქვა, რომ სათხილამურო სახეობებს ბორჯომი-ბაკურიანი უმასპინძლებს, ხოლო დარბაზის სახეობებს — ჰოკეის, ციგურაობას და სხვებს — თბილისი. შუბლაძემ ბოლოს იდეის სრულად განსახორციელებლად საჭირო თანხაც დაასახელა. მომზადება დაახლოებით 3 მილიარდი დოლარი დაჯდება. დაახლოებით 60 პროცენტი უკვე დაგეგმილიც ყოფილა.

WWW.BORJOMI2014.GE — ესაა ოფიციალური ვებგვერდი, რომელიც ავტორმა პაატა ნაცვლიშვილმა გუშინ გახსნა და ჯერ მხოლოდ ქართული ვერსია არსებობს. შემდგენის თქმით, ინგლისური ვერსიაც თითქმის მზადაა, ხოლო ნაახალწლევს ფრანგულად და რუსულადაც იქნება შესაძლებელი ამ ლამაზი გვერდის დათვალიერება.

სესიას თბილისის მერი გიგი უგულავა და ბორჯომის გამგებელი გია ტალახაძეც ესწრებოდნენ და ვებგვერდის პრეზენტაციის შემდეგ რამდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტზეც მოაწერეს ხელი.

თითქმის გასული წელი მოკლედ შეაჯამეს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ირაკლი ჯაფარიძემ, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა, ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა და ბეისბოლისა და სოფთბოლის ფედერაციის პრეზიდენტმა რამაზ გოგლიძემ.

კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა ძირითადად ყურადღება სახელმწიფოსა და სეოკ-ს შორის მჭიდრო თანამშრომლობაზე გაამახვილა.

ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა კი ქართულად შედგენილი მსოფლიოს სპორტის ენციკლოპედიის პირველი ეგზემპლარი როგორც მის გამოცემაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილის შემტანს ბადრი პატარკაციშვილს აჩუქა. ამ მშვენიერი წიგნის პრეზენტაცია იანვრის ბოლოსთვის იგეგმება.

საჩუქრები სეოკ-მაც დაარიგა. ფულადი ჯილდოები და საჩუქრები ოცდაათზე მეტმა სპორტსმენმა, მწვრთნელმა და სპორტში მოტრიალე ადამიანმა მიიღო.

აქვე ერთი ცვლილების შესახებაც. სეოკ-ის აღმასკომის შემადგენლობაში მერაბ ჟორდანიას ადგილი ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტმა არჩილ გოგელიამ დაიკავა.

სესია ბადრი პატარკაციშვილმა შეაჯამა. სეოკ-ის პრეზიდენტმა ქართული სპორტის წინსვლით დაინტერესებულთ გულითადი მადლობა გადაუხადა და წარმატებული 2006 წელი უსურვა.

ბოლოს ბორჯომზე საუბრით გაჯერებული სესია ტრადიციული ფურშეტით დასრულდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

*ბადრი კეთილაძის ფოტორეპორტაჟი*





უნიკალურ „სპა-ფრანკორშამზე“ გაისადაც იჯირითებენ

# ბელგია კიდევ ერთხელ გადარჩა ფეხბურთი ფორმულის წინააღმდეგ

**ორი** თვის წინათ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ გამოაქვეყნა ფორმულა 1-ის საგაისო ჩემპიონატის კალენდარი. სიას წინასწარი კი ერქვა, თუმც პრაქტიკულად ყველა ეტაპს „სამეფო რბოლების“ 57-ე სეზონში ადგილი გარანტირებული ჰქონდა, ბელგიის გარდა.

უკვე მერამდენედ, ეს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რბოლა ყოფნა-არყოფნის „სახიფათო ზონაშია“ ტრადიციული სენის — უფულობის მიზეზით. უნიკალური ეტაპი ამის გამო 2003 წელს გაცდა კიდეც.

ახლაც საქმე თითქოს იქით მიდიოდა, რადგან რბოლის მომწყობი კომპანია გაკოტრდა და 2006 წლის დიდი პრიზის გასათამაშებლად საჭირო 15 მილიონი ევრო არსად ჩანდა. წლეულს ეს თანხა გამოყო ვალონიის პროვინციის მთავრობამ, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს სპა-ფრანკორშამის ლეგენდარული ტრასა. რბოლის ორგანიზება კი მოხერხდა, მაგრამ ადგილობრივები განაწყენდნენ, ჯობდა, ეს მილიონები მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად და რეგიონის განვითარებისთვის დახარჯულიყოო. ასე რომ, საგაისოდ ამგვარი ვარიანტი გამოირიცხა.

ბელგიელებს მხსნელად ფორმულის „მეპატრონე“ ბერნი ეკლსტოუნი მოევლინა. იქაური პრესის ცნობით, 75 წლის ინგლისელი მილიარდელი, ყოველგვარი ფინანსური გარანტიების გარეშე, თავად გახდა ამ უპოპულარულესი ეტაპის პრომოუტერი. შეთანხმება გრძელვადიანია, კონკრეტულად 2010 წლამდე — სპა-ფრანკორშამის ავტოდრომთან არსებული კონტრაქტის გასრულებამდე.

ერთი სიტყვით, გაისადაც 19 დიდი პრიზი გათამაშდება. იყო ლაპარაკი მექსიკური ეტაპის დაბრუნებაზე, მაგრამ იქაურებმა მშენებლობას თავი ვერ მოაბეს და დაბრუნება 2007 წლისთვის გადაიდო.

საგაისო რბოლა ეტყობა, უკანასკნელი გახდება „სუძუკას“ ავტოდრომისთვის. ავტოფედერაციის ხელმძღვანელობასთან უკვე მიღწეულია შეთანხმება და 2007 წელს იაპონიის დიდი პრიზი „ფუჯის“ განახლებულ ტრასაზე შედგება.

აღსანიშნავია, რომ საფორმულო რბოლები ფუძიამას მთის ძირში მოწყობილ ტრეკზე ორჯერ — 1976 და 1977 წლებში ჩატარდა.

რბოლების მიმდევრობაში რამდენიმე გადაადგილებაა. სეზონი ავსტრალიის ნაცვლად ბაჰრეინის დიდი პრიზის გათამაშებით გაიხსნება. მიზეზი ისაა, რომ მარტში მწვანე კონტინენტზე გრანდიოზული სპორტული ღონისძიება — დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყანათა თამაშები გაიმართება. ჩინური ეტაპი ისევ ბოლოდან მესამე გახდა — დასკვნითი ადგილი ბრაზილიას გაუცვალა.

შუა სეზონში ადგილმონაცვლეობა უმთავრესად რბოლებისა და ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის თამაშების დამთხვევამ გამოიწვია. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშება ბერლინში ფინალურ მატჩს ემთხვეოდა, ამის გამო 9 ივლისს საერთოდ არსად არ ირბოლებენ, ხოლო პლეი ოფის დღეებში მეფორმულეები კანადაამერიკაში იჯირითებენ, სადაც ევროპული სოკერი ძალიანაც არ აინტერესებთ.

**გია ახალაძე**

## 2006 წლის ჩემპიონატის კალენდარი

| თარიღი | ეტაპი | ტრასა | წრე | სიგრძე, კმ | რეკორდი კმ/სთ | მრბოლი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 12 მარტი | ბაჰრეინი | საჰირი | 57 | 5,417 | 216,1 | მ. შუმახერი |
| 19 მარტი | მალაიზია | სეპანგი | 56 | 5,543 | 211,8 | მონტოია |
| 2 აპრილი | ავსტრალია | ალბერტ პარკი | 58 | 5,303 | 226,7 | მ. შუმახერი |
| 23 აპრილი | სან მარინო | იმოლა | 62 | 4,933 | 220,8 | მ. შუმახერი |
| 7 მაისი | ევროპა | ნიურბურგრინგი | 60 | 5,148 | 207,1 | მ. შუმახერი |
| 14 მაისი | ესპანეთი | კატალუნია | 66 | 4,627 | 220,2 | ფიზიკელა |
| 28 მაისი | მონაკო | მონტე კარლო | 78 | 3,340 | 161,5 | მ. შუმახერი |
| 11 ივნისი | დიდი ბრიტანეთი | სილვერსტოუნი | 60 | 5,141 | 235,1 | მ. შუმახერი |
| 25 ივნისი | კანადა | ჟილ ვილნევი | 70 | 4,361 | 213,2 | ბარიკელო |
| 2 ივლისი | აშშ | ინდიანაპოლისი | 73 | 4,192 | 214,4 | ბარიკელო |
| 16 ივლისი | საფრანგეთი | მანი კური | 70 | 4,411 | 210,7 | მ. შუმახერი |
| 30 ივლისი | გერმანია | ჰოკენჰაიმრინგი | 67 | 4,574 | 223,2 | რაიკონენი |
| 6 აგვისტო | უნგრეთი | ჰუნგარორინგი | 70 | 4,381 | 199,5 | მ. შუმახერი |
| 27 აგვისტო | თურქეთი | სტამბოლი | 57 | 5,378 | 228,4 | მონტოია |
| 10 სექტემბერი | იტალია | მონცა | 53 | 5,793 | 257,3 | ბარიკელო |
| 17 სექტემბერი | ბელგია | სპა-ფრანკორშამი | 44 | 6,973 | 238,8 | რაიკონენი |
| 1 ოქტომბერი | ჩინეთი | შანხაი | 56 | 5,451 | 212,8 | მ. შუმახერი |
| 8 ოქტომბერი | იაპონია | სუძუკა | 53 | 5,807 | 228,4 | რაიკონენი |
| 22 ოქტომბერი | ბრაზილია | ინტერლაგუში | 71 | 4,309 | 217,0 | მონტოია |



# კარატანჩევას დისკვალიფიკაცია ემუქრება



**16 წლის** ბულგარელ ჩოგბურთელ სესილ კარატანჩევას დისკვალიფიკაცია ემუქრება აკრძალულ პრეპარატ ნანდროლონის მოხმარების გამო. ფრანგული “L EQUIPE”-ის ცნობით, ბულგარელს საფრანგეთის ღია პირველობის განმავლობაში ჩაბარებულ სისხლის ანალიზებში აღმოაჩნდა აღნიშნული პრეპარატი.

შევახსენებთ, რომ წლეულს კარატანჩევამ პარიზის კორტებზე საკმაოდ კარგად იასპარეზა და მეოთხედფინალშიც გავიდა, სადაც რუს ელენა ლიხოვცევასთან წააგო, ნახევარი წლის შემდეგ კი ირკვევა, რომ ბულგარელის ეს წარმატება, შესაძლოა, აკრძალული სტიმულატორების დამსახურება იყო.

თვითონ კარატანჩევამ ორგანიზმში ნანდროლონის მაღალი რაოდენობა იმით ახსნა, რომ ის ფეხმძიმედ იყო, თუმც მოგვიანებით მუცელი მოეშალა.

საბოლოო გადაწყვეტილებას ბულგარელი ჩოგბურთელის შესახებ იანვარში მიიღებენ. უარეს შემთხვევაში კარატანჩევას ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის.

„ეს რომ გავიგე, შოკში ჩავვარდი — განაცხადა კარატანჩევამ — მე არასდროს ვხმარობდი აკრძალულ პრეპარატებს“.

ახალგაზრდა ჩოგბურთელს ბულგარეთის საჩოგბურთო ფედერაციაც გამოექომაგა და იმედი გამოთქვა, რომ ეს ინფომრაცია ოფიციალურად არ დადასტურდება.

არადა, კარატანჩევამ წლეულს, მართლაც, კარგი სეზონი ჩაატარა. მან რეიტინგში საბოლოოდ 39-ე საფეხური დაიკავა და კარიერაში პირველი ტიტულების მოგება მოასწრო.

ისე, კარატანჩევა არც დისკვალიფიკაციის შემთხვევაში იქნება უსაქმოდ. დიდი საჩოგბურთო ტალანტის გარდა, ის გარეგნობითაც გამოირჩევა, რის გამოც ბულგარელს ხშირად მარია შარაპოვასა და ანა კურნიკოვას ადარებენ.

სესილს კორტს გარეთაც საკმაოდ აქტიური ცხოვრება აქვს, თუმც იმედი ვიქონიოთ, რომ სპეციალისტების მიერ დიდი მომავლის მქონე ჩოგბურთელად შერაცხულ კარატანჩევას დისკვალიფიკაციას არ მისცემენ და მას პროფილის შეცვლა არ მოუწევს.

**ბაჩა ლომჯავილი**

# ჰიუიტის თადარიგი



**ლეიტონ** ჰიუტმა ერთ-ერთ ავსტრალიურ სატელევიზიო არხთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მომავალი სეზონისთვი სერიოზულად ემზადება. ჰიუიტი იანვრის პირველი რიცხვებიდანვე აპირებს სეზონის დაწყებას და ადელაიდისა და სიდნეის ტურნირებზე გამოვა, რასაც შემდეგ „დიდი მუზარადის“ პირველი ტურნირი — ავსტრალიის ღია პირველობა მოჰყვება.

„ხუთ-ექვსი კვირის განმავლობაში ინტენსიურად ვვარჯიშობ. დიდ დროს ვატარებ ტრენაჟორებზე, თუმც არც კორტს ვივიწყებ და კონკრეტული სათამაშო ელემენტების დახვეწაზე ვმუშაობ. განსაკუთრებით მოწოდების გაუმჯობესებას ვცდილობ“.

ავსტრალიელმა ფედერერზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ შვეიცარიელი გაისადაც უმთავრესი ფავორიტი იქნება, მაგრამ მის წინაამდეგ ბრძოლა მაინც შესაძლებელია:

„როჯერმა ჩოგბურთი სხვა, უფრო მაღალ დონეზე აიყვანა. მიუხედავად ამისა, ის დაუმარცხებელი სულაც არ არის. მთავარია, გადამწყვეტ მატჩებზე მისებრ კონცენტრირებული იყო და შენი თამაში თავიდანვე აჩვენო“.

**ბაჩა ლომჯავილი**

# მსოფლიოს თასი



ჯორჯო როკამ ზედიზედ მესამე სლალომი მოიგო

## გამარჯვება, როგორც სიზმარი

**სამთო-მოთხილამურეები** ერთმანეთს კვლავ ევროპაში შეეჯიბრნენ. კაცებმა სლოვენიურ კრანსკა გორაში მოიყარეს თავი და ჯერ გიგანტურ სლალომში, შემდეგ სლალომში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

ასპარეზობა ოთხშაბათს გიგანტური სლალომით დაიწყო, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და ავსტრიელი ბენჯამინ რაიხის გამარჯვებით დასრულდა. მან თითქმის წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ იტალიელ მასიმილიანო ბლარდონეს.

ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა რაიხმა მიმდინარე სეზონში, როგორც იქნა, მოახერხა პირველ ადგილზე გასვლა. ის აქამდე პოდიუმზე ორჯერ იდგა, მაგრამ უმაღლეს საფეხურზე ვერ ადიოდა. აი, ოთხშაბათს კი მართლაც დიდებულად იასპარეზა, ორივე ცდა მეტოქეებზე კარგად გაიარა და დამსახურებულადაც იმარჯვა.

„ეს ორი კარგად შესრულებული დაშვების შედეგია. ჩემს ფორმაში ეჭვი არასდროს არ შემპარვია“ — განაცხადა „მისტერ თანმიმდევრულობამ“, როგორც რაიხს ხშირად ეძახიან.

წლეულს საკმაოდ ცუდად გამოიყურება რაიხის თანამემამულე და ბოლო წლებში უდავოდ საუკეთესო მოთხილამურე ჰერმან მაიერი. მან ამჯერადაც ვერ გამოიჩინა თავი. პირველი დაშვებისას რამდენიმე ტექნიკური შეცდომა დაუშვა და კინაღამ კისერი მოიტეხა. „ჰერმინატორმა“ ეს გადაღლილობით ახსნა.

„ძალიან დატვირთული კალენდარი გვაქვს. ასე არ შეიძლება. აი, ბენჯამინმა (რაიხმა), ჩემგან განსხვავებით, ჭკუა იხმარა და ვალ გადენაში დაშვებაში არ გამოვიდა დასვენებული იყო და მოიგო კიდეც“.

კაცები ხუთშაბათს უკვე სლალომში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ბენჯამინ რაიხს შეეძლო, გარკვეული დუბლის შესრულება — პირველი ცდის შემდეგ ლიდერობდა და მეორე ცდაზე ბოლო გადიოდა, რითაც საშუალება ეძლეოდა, თავისი ტემპი მეტოქეების შედეგების გათვალისწინებით ეკონტროლებინა და მოეგო ეს დისციპლინაც. თუმც მან მეორე ცდაზე ბევრი შეცდომა დაუშვა და საერთოდ ფინიშამდე ვერ მიაღწია. არადა, ეს რომ მოეხერხებინა, საერთო ჩათვლას სათავეში ჩაუდგებოდა.

სლალომი კი კვლავ, თან ზედიზედ მესამედ, იტალიელმა ჯორჯო როკამ მოიგო. მან ამჯერადაც მეორე ცდის დიდებული შესრულების წყალობით მოახერხა გამარჯვება. პირველი დაშვების შემდეგ ის მესამე იყო, მაგრამ მეორე შედეგის მქონე ფინელმა კალე პალანდერმა საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა, რაიხზე კი უკვე მოგახსენეთ.

„ეს სიზმარივითაა — სამი ეტაპი ზედიზედ. ამაზე ვერც ვიოცნებებდი. ისე, უპრობლემოდ კი გავიარე ტრასა, მაგრამ მეორე ცდაზე გარემო პირობები არცთუ სახარბიელო იყო“ — განაცხადა გახარებულმა როკამ.

ერთი რამ კი ცხადია — ტურინში სლალომს აშკარად გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს ჯორჯო როკას სახით.

ცვლილებები მოხდა საერთო ჩათვლის ზედა ეშელონებშიც. პირველ ადგილზე ნორვეგიელმა აქსელ ლუნდ სვინდალმა გადაინაცვლა. ეს მან ამერიკელი ბოდე მილერის ერთობ ცუდი გამოსვლის შემდეგ მოახერხა. მართალია, არც სვინდალს მოუწყვეტია ციდან ვარსკვლავები, მაგრამ ის ორჯერვე ჩავიდა ფინიშამდე მაშინ, როცა ამერიკელმა ორჯერვე პირველ ცდაზე დაასრულა გამოსვლა.

ქალებიც ზუსტად იგივე პროგრამით შეეჯიბრნენ ერთმანეთს. ამ ორ დღესაც, როგორც ბოლო წლებში დამკვიდრდა, კვლავაც ძველი მეტოქეები — ხორვატი იანიცა კოსტელიჩი და შვედი ანია პიერსონი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

გიგანტური სლალომში კოსტელიჩმა კარგად იასპარეზა და ამ სეზონში პირველად შეძლო ეტაპის მოგება. მას ცოტათი, სულ რაღაც 0,09 წამით ჩამორჩა ახალგაზრდა ავსტრიელი კატრინ ცეტელი.

ნამდვილი ორთაბრძოლა პიერსონსა და კოსტელიჩს შორის ხუთშაბათს სლალომზე გაიმართა, რომელიც საბოლოოდ შვედის გამარჯვებით დასრულდა. მას გარკვეულწილად გაუმართლა, რადგანაც ხუთშაბათს ჩეხურ სპინდლერუვ მლინში საკმაოდ თბილი ამინდი იყო, თოვლმა დნობა დაიწყო და მოთხილამურეებსაც ზედმეტი სიფრთხილის გამოჩენა დასჭირდათ. შვედს იმაში გაუმართლა, რომ პირველი დაშვებისას ის მეორე ნომრად იდგა, მაშინ, როცა ტრასა ჯერ კიდევ არ იყო გაფუჭებული. ჰოდა, ამ პირველ ცდაზე პიერსონმა ისეთი ფორა შეიქმნა, რომ მისი დამწევი აღარავინ იყო.

„სტარტიდან ფინიშამდე დაძაბული ბრძოლა იყო. მართლაც უძნელეს პირობებში მოვხვდით. გამიმართლა, პირველ ცდაზე თავიდანვე რომ გავედი ტრასაზე... კალენდარი კი ძალიან გადატვირთულია, ეს ორი დღე ძალიან დამღლელი იყო“ — თქვა პიერსონმა, რომელმაც წლეულს ჩატარებული სლალომის ორი ეტაპიდან ორივეში იმარჯვა.

კოსტელიჩმა კი ამჯერად მეორე ადგილი დაიკავა:

„ვიცოდი, რომ ანია გიჟივით გაივლიდა ტრასას, რადგან მას გამარჯვება ძალიან უნდოდა. უნდა გამერისკა მეორე ცდაზე, მაგრამ ვერ გავბედე ცალკე ტრავმის მიღების შიშის, ცალკე კი ცუდი პირობების გამო“ — განაცხადა ხორვატმა.

საერთო ჩათვლას კი კვლავაც ავსტრიელი მიკაელა დორფმაისტერი ლიდერობს, რომელიც საერთოდ არ ჩასულა ჩეხეთში. მეორე ადგილზე კოსტელიჩმა გადაინაცვლა, მესამე კი პიერსონია.

**ძაბა ლომაშვილი**

### სამთოთხილამურობა

#### კაცები

*სლოვენია. კრანსკა გორა*

**გიგანტური სლალომი**

1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) 2.22,46
2. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) 2.23,46
3. ტომას გრანდი (კანადა) 2.23,61
4. ფრედრიკ ნიუბერგი (შვედეთი) 2.23,83
5. მანფრედ მოელგი (იტალია) 2.23,89

**სლალომი**

1. ჯორჯო როკა (იტალია) 1.35,98
2. ტომას გრანდი (კანადა) 1.36,62
3. ტედ ლიგეტი (აშშ) 1.36,65
4. რაინერ შონფელდერი (ავსტრია) 1.37,06
5. კალე პალანდერი (ფინეთი) 1.37,19

**საერთო ჩათვლა:** 1) აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) — 450 ქულა; 2) ბოდე მილერი (აშშ) — 442; 3) ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) — 430

#### ქალები

*ჩეხეთი. სპინდლერუვ მლინი*

**გიგანტური სლალომი**

1. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 2.21,30
2. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 28.21,38
3. მარლის შილდი (ავსტრია) 2.21,40
4. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 2.21,49
5. ანია პიერსონი (შვედეთი) 2.21,59

**სლალომი**

1. ანია პიერსონი (შვედეთი) 1.38,49
2. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1.38,98
3. მარლის შილდი (ავსტრია) 1.39,76
4. ან-მარი გერგი (გერმანია) 1.40,40
5. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 1.40,49

**საერთო ჩათვლა:** 1) მიკაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 502 ქულა; 2) იანიცა კოსტელიჩი (ავსტრია) — 429; 3) ანია პიერსონი (შვედეთი) — 440



ანია პიერსონი თავის სტილში აღნიშნავს მორიგი ეტაპის მოგებას



# NHL რეგულარული ჩემპიონატი

22 დეკემბერი

**ფილადელფია 4:3 ოტავა**

*3:0 1:2 0:1*

1:0 კნუბლი (7), 2:0 კაპანენი (16), 3:0 უმბერგერი (19), 4:0 განიე (30), 4:1 ხარა (33), 4:2 ვერმეტი (35), 4:3 ფიშერი (52)

**ბოსტონი 4:1 ტორონტო**

*1:0 1:1 2:0*

1:0 გრინი (19), 1:1 ჩერკავსკი (33), 2:1 ჟამნოვი (36), 3:1 პრიმო (47), 4:1 სტიუარტი (60)

**რეინჯერსი 4:2 ტამპა**

*1:0 1:0 2:2*

1:0 პრუხა (12), 2:0 სტრაკა (30), 2:1 ფედოტენკო (41), 2:2 რიჩარდსი (52), 3:2 პოტი (59), 4:2 რუჩინსკი (60)

**ფინიქსი 2:1 სან ხოსე**

*1:1 0:0 1:0*

0:1 მარლო (2), 1:1 ლუნდმარკი (12), 2:1 კომრი (43)

**ატლანტა 5:6 ვაშინგტონი**

*3:2 0:3 2:0 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

0:1 ჰელპერნი (6), 1:1 კოვალჩუკი (7), 1:2 ლეიკი (12), 2:2 კოზლოვი (14), 3:2 სავარი (14), 3:3 ოვეჩკინი (26), 3:4 ბირონი (27), 3:5 ზურბრუსი (36), 4:5 სატონი (45), 5:5 ჰოსა (49), 5:6 გადამწყვეტი ბულიტი: ოვეჩკინი

**ფლორიდა 4:1 ბუფალო**

*0:0 3:1 1:0*

1:0 შტუმპელი (22), 2:0 ოლეში (24), 3:0 შტუმპელი (32), 3:1 ვანეკი (37), 4:1 იოკინენი (56)

**კოლორადო 4:3 მინესოტა**

*3:2 0:1 1:0*

1:0 ლააქსონენი (13), 2:0 ბრიუნეტი (15), 2:1 ბერნსი (17), 3:1 მაკლინი (18), 3:2 ზიუზინი (20), 3:3 მ. კოივუ (32), 4:3 სვატოში (41)



პიერ ტარჯონის (№87) „კოლორადომ“ „მინესოტას“ ძლივს მოუგო

## რენიკს პატივს აღარ სცემენ

„**ლოს ანჯელესის**“ ცნობილ ფორვარდ ჯერემი რენიკს ერთ დღეს ერთბაშად ორი უსიამოვნება დაატყდა თავს. მას შემდეგ, რაც რენიკი ოლიმპიური ნაკრების მიღმა დარჩა, სულ რაღაც საათებში გაირკვა, რომ ფორვარდმა თითიც მოიტეხა და ამის გამო მას 4-6 კვირის გამოტოვება მოუწევს. თუმც რენიკი უფრო პირველი ამბით დარჩა უკმაყოფილო, წყენა არ ჩაყლაპა და საჯაროდ გამოთქვა თავისი აზრი. 36 წლის ჰოკეისტმა არც მეტი, არც ნაკლები, ნაკრების ბოსების გადაწყვეტილებას „უპატივცემულობა“ უწოდა.

„სწორედ მაშინ, როცა მე ფორმაში შევედი, ასეთი ამბავი მომახალეს. არ ვიცი რა დავაშავე, მაგრამ აგერ უკვე ერთი წელიწალია, ცუდად მიყურებენ. შეიძლება, ნაკრებიდან მხოლოდ იმიტომ ამომშალონ, რომ ობიექტური მიზეზების გამო ბოლო ორი მსოფლიოს თასი გამოვტოვე? მერე რა, რომ წლეულს ჩემმა შედეგიანობამ იკლო. ხომ არ დაავიწყდათ, რომ ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც აშშ-ს ნაკრები ესოდენ მაღალ დონეზე აიყვანა“ — ბობოქრობდა რენიკი, თუმც ახლა მის სიტყვებს არანაირი აზრი არ აქვს, შემადგენლობა უკვე დასახელებულია.

**სამველ ლარიბიანი**

# შობა ჰიმალაებში

ეს ძველი ფოტოა: ფრანგი მთამსვლელი ჟან-კრისტოფ ლაფაილი ანაპურნას ლაშქრავს. ახლა კი ამ კაცს გადაუწყვეტია, რომ შობას 7 ათასი მეტრის სიმაღლეზე, მაკალუს მწვერვალზე შეეგებოს. მოკლედ, შობა ღამეს ჰიმალები მარტო არ იქნებიან.





AFP ნეპალიდან

# ნიდერლანდების საუკეთესონი

ამსტერდამში ნიდერლანდების წლის საუკეთესო სპორტსმენები დაასახელეს: აფროსნობის მსოფლიო ჩემპიონები მარსელიენ დე კონინგი და ლობკე ბერკჰუტი, ასევე ჩოგბურთელი ესთერ ვერგეერი, მსოფლიო ჩემპიონი ტანვარჯიშში იური ვან გელდერი და გრძელ მანძილზე მოცურავე ედიტ ვან დიკი.



AFP ამსტერდამიდან



# იანიცა პირველად

ხარობს თხილამურების დედოფალი იანიცა კოსტელიჩი. კარიერაში პირველად ის გიგანტური სლალომის ჩემპიონი შეიქნა მსოფლიო თასის ეტაპზე, რომელიც შვედეთში მიმდინარეობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge